სახალხო ფურცელი

№ 764 ხუთშაბათი, 5 იანვარი 1917 წ. № 764

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კაპ., უკანასკნელზე—20 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—40 კ., უკან—20 კაპ., ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 6 მან., 20×2 ღირს 8 მან., 25×2 ღირს 10 მან. 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „ქართლში“ პუშკინისა და ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახლი ძველი სასულიერო სემინარიისა, და ეღირება ერთი მანეთით მეტი,

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Пурцели“, поч. ящ. 190.

ტელეფონი 12—29

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისთვის გაზეთ

„სახალხო ფურცელზე“

გაზეთი სურათებიანი დამატებით ღირს წელიწადში 15 მანეთად, ნახევარი წლით 8 მანეთად, სამი თვით 5 მანეთად.

წლიური ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად:

ხელის მოწერის დროს 7 მან., პირველ აპრილისთვის 4 მანეთი და | აგვისტოსთვის 4 მანეთი.

კანტორა ხელის მოწერისათვის ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, „სახალხო ფურცლის“ რედაქცია, სასახლის ქუჩა, № 6 **Тифлисъ, редакція „Сахалхо Пурцели“ поч. ящ. 190.**

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ამა წლის 3 იანვარს, გათენებისას, უეცრად გარდაიცვალა ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი და ყოფილი ქალაქის მდივანი

სტეფანე თევდორეს ძე

ჭრელაშვილი.

დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება.

პანაშვიდი დღის, 2 ს., ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. 4

ორშაბათს, 2 იანვარს, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ს. შუხუთში (ლანჩხუთის საზოგ.) გარდაიცვალა

სოფიო თ-დ ბესარიონ დგებუაძის

ასული ყორდანიასი.

რასაც გულმოკლულნი აუწყებენ ნათესავთა, მეგობრებსა და ნაცნობებს დამწუხრებული **მეუღლე კონსტანტინე გიორგის ძე, შვილები: გიორგი, დათიკო, შურა, სონია და გრიშა.** გამოთხოვების დღე დანიშნულია ხუთშაბათს, 5 იანვარს, სოფ. შუხუთში (გურია), პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს, 5 ს. 7

ხრმუი მარდიკას ასული ანანოვისა გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 31 დეკემბერს 1916 წლისა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი და დაუვიწყარი

აბგარ ალექსანდრეს ძე

ანანოვი

პანაშვიდები ყოველ-დღე საღამოს 7½ საათზე ბინაზე (გოლოვინის პრ. 22) ხუთშაბათს, 5 იანვრის გარდა. გამოსვენება კვირას 8 იანვარს, დილის 10 ს. ჯიგრაშენის ეკლესიაში (სომხის ბაზარი) დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე საგვარეულო აკლდამაში. 2

მიხრან ალექსანდრეს ძე ანანოვი თავის მეუღლე მარგარიტა ივანეს ასულითა და ბავშვებით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 31 დეკემბერს 1916 წელს ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი და დაუვიწყარი ძმა

აბგარ ალექსანდრეს ძე

ანანოვი

პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 7½ საათზე, საკუთარ ბინაზე (გოლოვინის პრ. 22) ხუთშაბათს, 5 იანვრის გარდა.

გამოსვენება კვირას 8 იანვარს, დილის 10 ს. ჯიგრაშენის ეკლესიაში (სომხის ბაზარი) დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე საგვარეულო აკლდამაში. 2

ღრმად დამწუხრებულნი: **დედა სარრა კეპალმაძისა, ძმები ვასილ და იესე კეპალმაძენი, დები: ანნა და მარიამ, სიძენი ნიკო და ტარასი ჩხაიძენი,** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დაუვიწყარ

თეკლეს

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროვოდ გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვაც მოხდება ქ. ბათომში, ხუთშაბათს, 5 იანვარს, ნაშუადღევს 3 საათზე, ვლადიკავკავის ქ., სახლი ჩხაიძისა № 92. 8

საზოგადოება

„იმედის“ სასადილო

ყოფილი მართლ-მადიდ. სემინარიის შენობაში, პუშკინის სკვერის პირდაპირ.

ღია არის 1 საათიდან, საღამოს 8 საათამდე.

სადილით შეუძლიანთ სარგებლობა არა წევრთაც. სადილების წაღება სახლშიაც შეიძლება, ვისაც ჰსურს თვიური სადილი, უნდა ჩაეწეროს.

სადილი 2 თავი ღირს 1 მ. 50 კ., ამორჩეული პორციები საშუალო ფასებით. სასადილოს მოწყობილობა და სამზარეულო სრულებით აკმაყოფილებს ჰიგიენას და სამზარეულო ხელოვნების მოთხოვნილებას. 1001

დილით — დილით

ტილიფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდ. № 27.

(ახალ კლუბის შენობაში).

ქართულ დრამატ. საზოგად. დასის მიერ

კვირას, 8 იანვარს, 1917 წ. წარმ. იქნება:

მ. გამყრელიძის მონაწილეობით

დ ა-ძ მ ა 5 მოქ. და 6 სურათად ვალ. გუნიასი.

მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: ნ. დავითაშვილი, ქილარჯიშვილი, ბ-ნნი: ბარველი, იმნელი, ა. მ[illegible]ელიძე, გვარაძე, ფრონის-პირელი, ზარდალიშვილი, თარალაშვილი, ჩაგუნავა, კობახიძე.

დასაწყ. სწორედ დილის 12 ს. ✦ ადგილების ფასი 1 მ. 70 კ.—30 კ. ბილეთ. იყიდება თეატრის კასაში დილის 11—2 ს., საღ. 6—8 ს.

1006 რეჟის. ⁂ ადმინ. ქართ. დრამ. საზ.

კახელ მევენახეთა საზოგადოება

„კახეთის“-ს

გამგეობა

ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოდ, რომ **შაბათს, 4 თებერვალს, 1917 წ., ქ. თელავში, საღ. 6 ს. დანიშნულია საზოგადოების წევრთა**

საგანგებო კრება

განსახილველი საგნები: 1) მუშათა და კანტორის მოსამსახურეთა საკითხი და მიმდინარე საქმეები. 1004

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 163, საზამთრო შენობა).

დღეს, 6 იანვარს, 1917 წელს.

რუსის არტისტთა დასი ბაუშევის რეჟისორობით წარმოადგენს:

ცოლი საიქიოდან კომედია ხუმრობა 2 მოქმედ.

2) **რუსის აქტიორის ქალი,** ოპერეტი 1 მოქ.

წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე, სტუმრები საზოგადო წესით. 1002

ახალი გრანდიოზული ცირკი

ძმ. ეფიმოვების

მიხეილის პროსპ., მუშტ. ახლო, საკუთარი, ახლად შეკეთებული კაპიტალური **საზამთრო შენობა, ტელეფ. 19.00**

დღეს 5 იანვარს, 6 იანვრის უქმის გამო ცირკში წარმოდგენა არ იქნება.

პარასკევს, 6 იანვარს, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ნათლისღებას გაიმართება

2 სადღესასწაულო დიდი წარმოდგენ.

დღითა და საღამოთი. დღისით დასაწყისი 1 ს., სახელწოდებით „ბავშვთა სამოთხე“. შეასრულებენ მთელ საღამოს პროგრამას, უფასო სეირნობა ბავშვებისა პატარა შოტლანდიურ ცხენებზე (პონი და ვირუკები). დილის წარმოდგენაზე ყველა კაცს შეუძლიან თავის ბილეთით თითო ბავშვი 10 წლოვანობამდე **უფასოდ** შეიყვანოს. ✦ საღამოს წარმოდგენის დასაწყისი 8 ს. შესრულებულ იქნება მთელი პროგრამა. მონაწილეობენ ყველა არტისტები და [illegible]. კასა ღიაა დილის 11 საათიდან.

ანონსი: შაბათს, 7 და 8 იანვარს, წარმოდგენები დილას და საღამოთი.

წაიკითხეთ აფიშები.

ექიმი

ბ. ბ. ნარიმანოვი

ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606“ და „914“ პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ-დღე საღ. 5½ ს.-დან 8 ს.-მდე. მიხეილ. ქ. № 38. ტელ. 16—17. 457

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის. **ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1060

საექიმო კაბინეტი ექიმ

პ. ს. ფონ-ირტელის

სპეციალისტი ქირურ., საშარდე-საშვილ., სიფილისის, ვენერიული და კანის (გასივება, ბუასილი, უკაცობა, შედეგი ონანიზ. და სიფილ., თირკმელების ავადმყ.). წამლობა სიფლისისა **ერლიხის** პრეპარ. „914“ და „606“ და ელექტრონით. ორივე სქესის ავადმყოფებს იღებს 9—12 ს. და საღ. 4—8 ს. მიხეილის ქ. 128 შესახ. კრილ. ქ. 1, მეორე კარი. 1352

ექიმი კბილისა

ნინო რუხილა[illegible]

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 საათ. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 კირპიჩნი ქუჩის შესახვევი 21.

ექიმი

თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი კიროჩნი ქ. 13. 1391

ექიმი

ვ. მუსხელიშვილი

იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი

გ. გ. მეჰრაბიანცი

შინაგან ავადმყოფობა—[illegible] გულისა. ახალი რენტგენ-ინსტიტ. კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, აგრეთვე ყოველგვარი **ფიზიოთერაპიით** და ელექტრონით. თავის დღეში ვენის ტიპისა, დიდი სოლენოიდი, **განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, არტერიოსკლეროზის,** თირკმლების და ღვიძლის სნეულებ. სისხლის ნაკლებობისა, უძილობისა, ხერხემლისა სისუსტის, ასთმისა, ბუასილის და რევმატიზმის დროს. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 9—1 ს.-მდე და საღ. 5—7 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელეფ. № 7—92 868

ექიმი ქალი

[illegible] მირზოევი

ყოფილი ორდინატორი ტფილისის თვალთა სამკურნალოსი.

იღებს თვალებით ავადმყოფთ ყოველ-დღე ნაშუადღევის 1½—3½ საათამდე, კვირა დღის გარდა.

სერგიევის ქუჩა, № 1.

ტელეფონი, № 16—67 1409

ექიმი

შ. ა. მიქელა[illegible]

მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 171.

ექიმი

ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს ახალ ბინაზე, საღამოს 6—7 საათამდე, კვირა დღის გარდა.

ვერის მოედანი, ექიმი სობესტიანსკის სახლი. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. ტელეფონი 5—54. 1144

ექიმი

მ. დ. წინამძღვარიშვილი

ყოფილი ორდინატორი თერაპევტიული კლინიკებისა, ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტ. შინაგანი სნეულებანი, [illegible]ტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად. იღებს საღ. 5—7 ს.-დე, ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროსპ., № 86, მეორე სართული. 1061

ექიმი

კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათ. კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა № 4. სასტუმრო ვიქტორიის გვერდით ტელეფ. 15—00. 1271

ტფილისი, 5 იანვარი 1917 წ.

გადაგვარების ნიშნები.

ყოველგან და ყოველთვის ცხრილით: ხელფეხს გვიბორკავენ, გასაქანს არ გვაძლევენ, განვითარებაში ხელს გვიშლიან და მშობლიურ კულტურის აყვავებას არავინ გვაცლის თქო. მართლაც იმიტომა ვართ დღეს-დღეობით ასე დაკნინებულნი, იმიტომ ვერ გაგვიშლია ფრთები და ვერსად ვგრძნობთ თავს მთლიან ერად, განსაზღვრული სახის მატარებელ არსად. მაგრამ გარდა გარეშე პირობებისა თვითონაცა ვართ დამნაშავენი. ჩვენ არა გვაქვს ნამდვილი, ჭეშმარიტი ეროვნული შეგნება, არა გვაქვს ეროვნული თავმოყვარეობა და ვერ ვსარგებლობთ იმ მცირედითაც, რომელიც დღევანდელ პირობებში გვაქვს. მოვიგონოთ თუნდ ის გარემოება, რომ ყველგან—მოგვეთხოვება თუ არ მოგვეთხოვება—რუსულად ვლაპარაკობთ და ხალხს ეს სიმახინჯე განათლების ნიშანი ჰგონია. ჩვენს გაზეთს ხშირად მოსდის ზოგიერთებისაგან (სამწუხაროდ მათში სოფლის მასწავლებელნიც ურევიან) ქართულად დაწერილი კორესპონდენციები და თან მთელი ეპისტოლე რუსულად, მიმართვა რედაქტორისადმი: ეს წერილი დამიბეჭდეთო. თითქოს არ იცოდეს, სად, რა ქვეყანაშია, ვის მიმართავს! ან იმ უბედურმა ხეირიანად იცოდეს მაინც ან ქართული, ან რუსული?! მაგრამ ფაქტი ასეთია და ფრიად სამწუხაროც. მოვიგონეთ აგრეთვე ამას წინად ჩვენს გაზეთში აღნიშნული გადაწყვეტილება (თუმცა არა საბოლოო) ქართულ გიმნაზიის—საგნები ქართულად და რუსულად პარალელურად ისწავლებოდესო და ნათლად გაითვალისწინებთ, რომ ჩვენ ეროვნულ შეგნებიდან ძლიერ შორსა ვართ.

აღსანიშნავია ერთი ფაქტიც. ამას წინად წ. კ. საზოგადოების ერთ-ერთ განყოფილებისაგან მთავარ გამგეობას მოსდის თხოვნა რუსულად და ეს იმათგან, ვინც თვითონ არის მოწოდებული სხვას მაგალითი მისცეს! მაგრამ ყველაზე მეტად სამწუხარო ერთი მოვლენაა, რომელმაც ამ ჟამად წამოჰყო თავი ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჩვენ მოგახსენებთ სამამულიანო საქართველოს სკოლებისათვის შედგენილ პროგრამის შესახებ. პროგრამა ამბობს, პაწია ბავშვებს, რომელთაც ჯერ მშობლიურადაც ახლად ამოუდგამთ ენა—პირველ დღიდანვე რუსული დავაწყებინოთო. ამაზე შორს თვით ბიუროკრატიაც არ წასულა და რადას ვემდურებით, გაუგებარია. 1881 წლის გეგმის მიხედვით ჩვენ უფლება გვეძლევა უცხო რუსული ენა დავაწყებინოთ ბავშვებს მთავრობის სკოლებშიაც კი მხოლოდ წლის მეორე ნახევრიდან. ჩვენ კი თვითონვე ფეხით ვსთელავთ ამ უფლებას და სულ საპედაგოგიო მოსაზრებას ვღალატობთ. არსებული წესები ნებას გვაძლევენ, რუსეთის გეოგრაფია ისწავლებოდეს რუსულად, დანარჩენი კი მშობლიურ ენაზე. შემუშავებული გეგმით კი [illegible] საგეოგრაფიო ცნობები და [illegible] რუსულად უნდა ისწავლებოდეს და სხვ.

ეს ყოვლად შეუწყნარებელი და მიუღებელია. შეუწყნარებელია ეს მით უმეტეს სამამულიანო საქართველოში, სადაც განსაკუთრებული ზრუნვა გვმართებს მშობლიურ კულტურისა და ენისათვის. პროგრამები ჯერ დამტკიცებული არაა და უეჭველად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, რათა გაუსწორებელი შეცდომა არ ჩავიდინოთ და ჩვენ თვითონვე არ შევიქმნეთ იმ რუსიფიკაციის გეგმის განმხორციელებელნი, რომელსაც ასე დაჟინებით აწარმოებენ ჩვენი ბატონები და რომელთანაც ბრძოლა მოვალეობაა ყველა შეგნებული ქართველისა და მამულიშვილისა.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

ამ რამდენისამე ხნის წინად კადეტების პარტიამ ხელახლა განიხილა პოლონეთის საკითხი და განიმეორა წინანდელი გადაწყვეტილება, რომ პოლონეთს უნდა მიენიჭოს მხოლოდ ავტონომია. ამ გარემოებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ზომიერ პოლონელებშიც კი. ყველაზედ მეტად გაცხარებულნი არიან კადეტების ლიდერის მილიუკოვის წინააღმდეგ. აი რას სწერს ერთი პოლონელი გაზ. „რუს. ვოლია"-ში:

> „არ არის რუსეთში ისეთი მოღვაწე, რომელმაც გამოიწვიოს პოლონელებს შორის ისეთი გაკვირვება და პირდაპირ ზიზღი, როგორც მილიუკოვმა.
>
> რომ მარკოვს მეორეს, ან რუსის მოხელეს, ან შტიურმერის მსგავს ადამიანს არა გაეგება-რა პოლონეთის სულის კვეთებისა,—ეს არავის აოცებს. მაგრამ როდესაც ასეთს პირებს ბანს აძლევს პ. მილიუკოვი—ეს სულ სხვა შთაბეჭდილებას სტოვებს. აქ მოთმინებიდან გამოდის უზომიერესი პოლონელიც კი, რომელიც გულწრფელი მომხრეა რუსეთ-პოლონეთის კავშირისა. ვერც ერთი პოლონელის გონება ვერ მიწვდება, რომ პოლონეთის საკითხის გადაწყვეტა შეიძლება რაიმე ავტონომიის დაწესებით!.."

რასაკვირველია, ამ ჟამად კადეტების და მათი ლიდერების აზრს პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ დიდად დამახასიათებელია თანამედროვე რუსეთისა, რომ მოწინავე რუსებსაც კი ავტონომიის მეტი ვერაფერი გაუმეტებიათ პოლონელებისთვის, რომელთაც გერმანია სრულს დამოუკიდებლობას ანიჭებს!

ომის გარშემო

ომის დღიური

რიგას რაიონში კვლავ არავითარი ცვლილება არ მომხდარა. უნდა ვიფიქროთ, რომ ოპერაცია აქ მიყუჩდა, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ აქ კვლავ დიდის ხნით სიწყნარე ჩამოვარდეს: დღევანდელ გამოურკვეველ პირობებში დვინის ხაზს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც სწორედ აქ არის მოსალოდნელი თუ ფართო გენერალური შეტევა არა, ფართო დემონსტრაციები მაინც ორივე მხრით.

რუმინიაში მოპირდაპირე კვლავ ცდილობს შეტევას და მოლდავიაში მას წინ ელობება რუს-რუმინიის ჯარის მედგარი წინააღმდეგობა, ხოლო სერეტის ქვემო ნაწილში, როგორც გუშინდელი დეპეშა გადმოგვცემს, ვედენის რაიონში კვლავ ბრძოლა სწარმოებს. სამი-ოთხი დღეა რაც ამ რაიონში ბრძოლა გაძალებულია და ეს ფაქტი გვიმტკიცებს, რომ მოპირდაპირეს აქ სერიოზული განზრახვა აქვს.

ი. გე—გა—ძე.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 3 იანვარი. ოფიციალური. რუსეთ-გერმანიის და ავსტრიის ბრძოლის პირი. ცვლილება არ მომხდარა.

რუმინიის ბრძოლის პირი. პრალეას სამხრეთ-დასავლეთით, მდ. კასინას და ტროტუშის შესართავის 19 ვერსზე სამხრეთით ბრძოლას ცვალებადი ხასიათი აქვს; ჩვენმა და რუმინელების ჯარმა პრალეას 7 ვერსის სამხრეთით წინ წაიწიეს 2 ვერსით; მოპირდაპირის ორი იერიში ღამით რეკოსის 2 ვერსის სამხრეთით, მდ. სუშიცას ნაპირით, რუმინელებმა მოიგერიეს. ვედენის რაიონში, გალაცის 10 ვერსის დასავლეთით, ბრძოლა სწარმოებს. ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარა დააყარეს მოპირდაპირის გემებს დუნაიზე, ბრაილოვის რაიონში და ცეცხლი გაუჩინეს ამ გემებს.

კავკასიის ბრძოლის პირი. ცვლილება არ მომხდარა.

შავი ზღვა. ჩვენმა წყალქვეშა ნავმა ბოსფორთან მოპირდაპირის ორი გემი ჩასძირა.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი, 3 იანვარი. ცნობა საღამოთი. სომას ორივე ნაპირით არტილერიის სროლა სწარმოებდა, აგრეთვე მაასის მარცხენა ნაპირით და ლორენში გუშინდამ არტილერიის სროლის შემდეგ ენის და არგონის შუა გერმანელებმა იერიში მოიტანეს ჩვენს მოწინავე სადაროებზე მაგრამ ფიცხელი შეტაკების შემდეგ უკუვაქციეთ. რამდენჯერმე მარჯვედ გავილაშქრეთ მოპირდაპირის პოზიციაზე და ტყვეები წამოვასხით.

ლონდონი, 3 იავარი. ცნობა საღამოთი. 2 იანვარს ლოოსის აღმოსავლეთით მარჯვედ გავილაშქრეთ დ მოპირდაპირეს ზარალი მივაყენეთ. ანკრის ჩრდილოეთით ჩვენმა არტილერიამ მარჯვედ დაუშინა მოპირდაპირის ქარავანს. მარჯვედ უშენდა აგრეთვე ლოოსის სამხრეთ-აღმოსავლეთით და გრენიეს ტყის პირდაპირ.

პარიზი, 3 იანვარი. ცნობა დღისით. მოშხამულ ყუმბარებით სროლის შემდეგ გერმანელები სომას რაიონში იერიშსა შეეცადნენ, მაგრამ მოვიგერიეთ. დანარჩენ ბრძოლას პირით მზვერავთა შეტაკება სწარმოებდა.

რუმინიაში.

ადიხა, 2 იანვარი. იასიდან მოსულთა სიტყვით, ზოგიერთმა კერძო ბანკმა გააფრთხილა თავისი კლიენტები, ვისაც ბანკში შენახულ ფასიან ქაღალდების და ძვირფასი ნივთების გატანა სურთ ხუთი დღის განმავლობაში გაიტანეთ, რადგანაც შესაძლებელია ბანკების სხვა ქალაქში გადატანა. ამასთანავე ერთად ბანკები აფრთხილებენ პასუხისმგებლობას ვერ ვიკისრებთ, თუ გადატანაში ძვირფასი ნივთები და ფასიანი ქაღალდები დაიკარგაო.

გერმანიაში.

სტოკჰოლმი, 3 იავვარნი. გერმანიაში იმპერატორის ბრძანებით შემოიღებენ ახალგაზრდების ჯარში გაწვევამდე საყოველთაო სამხედრო ვარჯიშობას. მოსწავლენი ვარჯიშობაში სამხედრო სამინისტროს ხელქვეით იქნებიან და ვარჯიშობა სასკოლო სწავლასთან ან დამოუკიდებლად იწარმოებს.

იაპონიაში.

ტოკიო, 2 იანვარი. თოფის წამლის საწყობებში აფეთქებამ იოკოსუკის ნავთსადგურში ჩასძირა კრეისერი „ცუკუბა" 14 ათასი ტონის წყალტევისა. დაიღუპა 200 კაცი.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

საბერძნეთის მთავრობის საქციელი

გაზ. „მატენ"-ის სიტყვით რომში შეკრებილ მოკავშირეთა კონფერენციაზე ყველაფერი გამოირკვა და მოკავშირეთა ჰორიზონტით მოღრუბლული ცა მოიწმინდა. მხოლოდ გაზეთი აღნიშნავს საბერძნეთის მთავრობის პროვოკაციას, რომელიც სხვა და სხვა მოკავშირესთან ცალცალკე მოლაპარაკებით ცდილობს უთანხმოება შეიტანოს მოკავშირეთა მოქმედებაში.

გერმანიის მოსალოდნელი პასუხი

ლონდონიდან „ბირჟ. ვედ."-ის ატყობინებენ: სარწმუნო ნეიტრალურ წყაროს ცნობით გერმანიას გადაწყვეტილი აქვს პასუხი გასცეს ოთხთა შეთანხმების უკანასკნელ ნოტაზე. პასუხი ნეიტრალურ სახელმწიფოთა მიმართ მოწოდების სახით იქნება გამოქვეყნებული. ზოგიერთ პოლიტიკურ წრეების აზრით იგი პასუხი მხოლოდ ამერიკას და შვეიცარიას უნდა გაეგზავნოს.

ამერიკის ელჩის განცხადება.

ამერიკა-გერმანიის სავაჭრო პალატის წევრთა ბანკეტზე ბერლინში მყოფ ამერიკის ელჩს ჯერარდს სიტყვა წარმოუთქვამს და სხვათა შორის განუცხადებია: გერმანიასა და ამერიკის შორის არასოდეს ისეთი მეგობრული განწყობილება არ ყოფილა, როგორც ამჟამად არისო. გერმანიის პრესამ ამერიკის ელჩის გამოსვლას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და პოლიტიკურ გამოსვლად ჩასთვალა. „ბერლინერ ტაგბლატ"-ის და „ფოსიშე ცაიტუნგ"-ის აზრით ელჩის გამოსვლა ამერიკის და გერმანიის შორის ახალ განწყობილების დამყარებას ნიშნავს. მათი აზრით ამერიკა დარწმუნდა, რომ გერმანია ამ ომში მხოლოდ თავს იცავს და აზრადაც არა აქვს ნეიტრალურ სახელმწიფოთა ინტერესების შელახვა. „ტაგესცაიტუნგ"-ის სიტყვით, ბანკეტს წინ უძღოდა პოლიტიკური შეთანხმება, რომელიც საზოგადოებისაგან დაფარული იყო და ამიტომ ჯერარდის განცხადება მეტად სიმპტომატიურია. გაზეთი ხაზს უსვამს ელჩის სიტყვებს: „ვიდრე გერმანიის ბედს განაგებენ ბეტმან-ჰოლვეგი, კაპელ და ჰინდენბურგი, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ გერმანიისა და ამერიკის შორის მეგობრული განწყობილება იქნებაო".

საზოგადოდ ჯერარდის განცხადებამ პირდაპირ სენსაცია გამოიწვია. პოლიტიკური წრეები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ჯერარდის სიტყვებს, გერმანიასა და ამერიკის შორის ურთიერთობა გაუმჯობესდაო და აგრეთვე იმ ქებას, რომელიც ბეტმან-ჰოლვეგს, ჰინდენბურგს და ლუდენდორფს უძღვნა. საზოგადოებაში სხვა და სხვა ხმები და მოსაზრებანი გამოიწვია ჯერარდის განცხადებამ. ამ ფაქტს უკავშირებენ უკანასკნელ სამხედრო თათბირს, სადაც გარკვეული გადაწყვეტილება მიიღეს, შეუბრალებელ წყალ-ქვეშ ბრძოლის გაძალებაზე.

შვეიცარია გერმანიისათვის მუშაობს.

პარიზიდან „ბირჟ. ვედ."-ის ატყობინებენ: ციურიხიდან მოსულ ცნობებით, შვეიცარიის მრავალი ფაბრიკა, სადაც 4,000 მეტი მუშა მუშაობს გერმანიისათვის სამხედრო მასალას ამზადებს. მარტო ერთმა შაფჰაუზენის ქარხანამ გერმანიის წყალქვეშა ნავებისათვის 300 მატორი დაამზადა.

ახალი გერმანული ყუმბარა.

პარიზიდან იმავე გაზეთს ატყობინებენ: გერმანელები ახალ ყუმბარას ხმარობენ, რომელიც ციანის სიმჟავით არის გატენილი. ციანის სიმჟავე საშინელი შხამია. შვეიცარიის მთავრობას დაუვალებია ცნობილ ქიმიკოს ბრუნერისათვის გამოიკვლიოს ამ ყუმბარის მოქმედება და რა ზომები უნდა იქმნას მიღებული მის წინააღმდეგ.

რომის კონფერენცია.

პარიზის გაზეთების ცნობით რომის კონფერენცია სხვათა შორის დაწვრილებით შეეხო რუს-რუმინელების ბრძოლის პირს და რუსეთის და რუმინიის ინტერესებს, რომელნიც ამ ჟამად ყველაზე მეტად განიცდიან ომის სიმძიმეს. „პტი პარიზიენ"-ის აზრით მოკლე ხანში მოკავშირენი ურთი ერთს სამხედრო მასალით დაეხმარებიან.

პოლონეთის სამეფო საბჭო.

„ნეიე ფრეიე პრესე"-ის აზრით პოლონეთის სამეფო საბჭოს მომავალი გახსნა მეტად აინტერესებს პოლონეთის პოლიტიკურ წრეებს. საბჭო დროებითი სახელმწიფოებრივი დაწესებულება იქნება, აირჩევს სამეფო მარშალს და პრეზიდიუმს, შეიმუშავებს უსაჭიროეს კანონებს, რომელნიც შეეხებიან სამეფოს ეკონომიურ აღდგენას, გადასახადების გადიდებას და ახალის დაწესებას და ჯარის ორგანიზაციას.

პოლონელ სოციალისტების განცხადება.

ვარშავის გაზეთში „ედნოსც სობოტნიჩა"-ში მოთავსებულია პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის პარტიის დეკლარაცია: „ფრანგი, ბელგიელი და ინგლისელი ამხანაგები შევიდნენ მთავრობის შემადგენლობაში, რათა სამშობლოს დაცვა მოაწყონ და აგრეთვე არ ჩაუგდონ საქმე ხელში კონსერვატორებს და ნაციონალ-მილიტარისტებს. პოლონეთში უფრო მძიმე პირობებია. სამეფო მხოლოდ ეხლა იბადება. მისი შინაგანი წესწყობილება იმაზედაა დამოკიდებული, რომელი სოციალური ჯგუფები მიიღებენ მის აღდგენაში მონაწილეობას. ჩვენ არასოდეს დავთანხმდებით, რომ მკვდრეთით აღდგენილი პოლონეთი ხალხოსნური, დემოკრატიული არ იყოს და მშრომელ ხალხის ნამდვილ საკუთრებას არ წარმოადგენდეს. საჭიროდ ვსთვლით, რომ სოციალისტებმა მონაწილეობა მიიღონ ეროვნულ მთავრობაში, რათა დაიცვან მუშათა და გლეხთა ინტერესები და დემოკრატიული პროგრამა გაიყვანონ პოლიტიკურ და სოციალურ სფეროებში და აგრეთვე დაიცვან ის პრინციპი, რომ დაუყოვნებლივ მოწვეულ იქმნას დამფუძნებელი სეიმი, რომელიც არჩეულ უნდა იქმნას საყოველთაო, ფარული, თანასწორი, პირდაპირი და პროპორციონალური ხმის მიცემით.

რომის კონფერენციის მნიშვნელობა.

ფრანგების და იტალიელების პრესის აზრით რომის კონფერენცია ერთ ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტად უნდა ჩაითვალოს ომის განმავლობაში. „ჟურნალ"-ი და „მატენ"-ი აღნიშნავენ, რომ წარსულმა წელიწადმა მოკავშირეებს ბევრი იმედი გაუქარწყლა და არ გაუმართლა, არა შეთანხმებულ ოპერაციების და დაგვიანების წყალობით. მოელიან, რომ რომის კონფერენცია უფრო შეათანხმებს და შეაკავშირებს მოკავშირეთ და მოკლე ხანში მოწმენი გავხდებით დიდი ამბებისა ყველა ბრძოლის პირით.

ჯარის მოძრაობა.

იტალიური გაზ. „იდეა ნაციონალე" იუწყება, რომ გენერალი კევეში რუმინიაში ოპერაციის დამთავრების შემდეგ იტალიის ბრძოლის პირზე გაგზავნება, ტრენტინოს რაიონში, სადაც ავსტრიელები დიდძალ ჯარს აგროვებენ და მრავალი სამხედრო მასალა მოაქვთ.

ახალი ამბავი

◆ **გაფიცვის გათავება.** 3 იანვარს „კახეთის" საზოგადოების გამგეობა და მუშები შეთანხმდნენ ისე, რომ ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის ჯამაგირის მომატების საკითხი გადატანილ იქმნეს საზოგადო კრებაზე. ყველა ამასთანავე მუშებმა მოითხოვეს სადღესასწაულო ჯილდოდ ერთი თვის ჯამაგირი. გამგეობა კი თანახმა იყო ნახევარზე. ოთხს იანვარს საზოგადოების კანტორის მოსამსახურეებმა სთხოვეს მუშებს, ნახევარი ეხლა მიიღ

წლის ნაკვეთები

(მიმოხილვა 1916 წ. სიტყვა კაზმულ მწერლობისა.

(შემდეგი*)

მაგრამ ძველებურის ინტერესით იკითხება ისევ ჩვენი პოეტები... სჩანს, ბევრი ვეპატიეთ იმ ბრჭყვიალა ქვებისათვის, ჩვენ რომ თვალი მოგვჭრა.

აქვე აშკარად დაიდო საზღვარი ჩვენს თმენასაც: ვინც ჩასწვდა წარმტაც ფორმას და მჭრელ მოზაიკას დღევანდელ ხელოვნებისას, მარტო მას ვიღებთ. საყვირის ცემა ეხლა ვერ გვხიბლავს წინანდებურად, დაფი და ნაღარა მუზეუმს გადავეცით და მწერლობას სულ ელემენტარული მოთხოვნა წამოვუყენეთ: მისგან გულწრფელობა მოვითხოვეთ გრძნობათა გარდმოშლაში.

და აქ გადაფასება მოხდა: პროგრამულმა პოეტებმა ნატკეპნი გზა მიატოვეს, ინდივიდუალურ ფორმით ამღერდნენ და არა იმით, ხალხი რომ ითხოვდა ჰიმნს დიდ შემთხვევისთვის. ზვარაკი დღეს ნაკლებ იწირება და სადა განცდათა წრფელი გარდმოშლა სცემს აშკარად.

თუმცა ჩვეულებად დარჩა, რომ ერთგვარ მიმართულების ხალხი მარტო თავის ორგანოში ათავსებს პოეტურ შემოქმედებასაც, მაგრამ ეს გამოცემა მას დღეს ვიწრო მოთხოვნას ვერ უყენებს, ვერ შესძლო მისი შეზღუდვა ისე მძლავრად წარმოდინდა ნაკადი ბუნებრიობისა. ამიტომ დღეს უფრო მეტის ინტერესით კითხულობენ რუხაძეს, აბაშელს, ქუჩიშვილს, ჩიქვაძეს და სხვებს მე არ ვიტყვი, რომ მათ თავიანთ რწმენისთვის ეღალატნოთ, მაგრამ ეს რწმენა უფრო სათუთად გვევლინება და, რაც უმთავრესია, არა წარმოდგენის, აბსტრაქციის არამედ რეალურის სახედ იშლება. დანამდვილებით ვამბობ: არც ერთი პოეტი არ იყო იმდენად იდეალისტი, რამდენადაც იყვნენ ესენი, რომელთაც თავი მატერიალისტებად მოჰქონდათ. სოციალური პრობლემა მხატვრობაში მუშავდებოდა არა სინამდვილის, არამედ განსაზღვრულ სასურველობის სახით. ყოველი „ტიპი" შეგნებული, გაწვრთნილი მუშაკი იყო პარტიისა; ამიტომ უფრო განყენებულობა იყო, მინამ რეალობა. სუბიექტიური ელემენტი უხვად სჭარბობდა ამ შემოქმედებაში... დღეს სურათი სანუგეშოდ იცვლება: ცოტაოდნად ლირიულ ჰანგებზე ნაგები პროგრამა ნელდება და ობიექტიური სურათიც გადმოდის. ის, რაც ბუნებრივი არ არის ჩვეულ განცდის დროს, არ ერევა ამ სურათებში.

დააკვირდით—რამდენი ბუნებრიობა, ჰაერი, გაშლილობა სცემს ქუჩიშვილის პაწია ლექსში: „მაჭრისა და იისებს".

„ჭირი მოგჭამეთ, ბიჭებო, კვნესა მე თქვენი სულისა,
მომავლის მოციქულებო, მერცხლებო გაზაფხულისა!
თქვენა ხართ ჩემი იმედი, სიმხნე, სიმტკიცე სულისა
და თქვენთვის მინდა დავუკრა ჩანგური სიყვარულისა"!

ამ კონკრეტულ სახეებიდან, რომლებიც, აშკარაა ტიპებია, პოეტი გადადის მთელ კლასზე და მათ ღვაწლს ცოცხლად სწერს. ცხადია, კონკრეტი სახე ცოცხალ მუშისა გამოიწვევდა ამ ფიქრებს სრულიად ბუნებრივად. და აქ, სალებავების შეუზავებლად, სადა ფერით მეტყველებს ავტორი:

„მუშებო თქვენი მარჯვენით
ქვეყანა აგიშენიათ,
შემოსილხართ შრომის ოფლში,
ერთხელ არ შეგისვენიათ,
ბევრი შავი დღე გინახავთ,
მრავალი ოფლიც გდენიათ,
მაგრამ ჯან-გაუტეხლებს,
პირშიაც მოგიღიმნიათ!

მაშ, მხნედ იყავით, ბიჭებო, ფხიზლად გეჭიროსთ თვალები, დასძახეთ ძმობის სიმღერა, თქვენს სიყრმეს ვენაცვალები"!...

აქ რომ ცოტა ოდენი მსხვერპლი არ იწირებოდეს რითმისთვის, მაგალითად: სულისა, გაზაფხულისა, გულისა, სიყვარულისა, თვალები, ვენაცვალები და სხვ. რაიც იმდენად გაცვეთილი და ნაჯახირევია ჩვენს პოეზიაში, რომ ორგანიულად ვერ იტანთ მას,—ზოგი ასეთი დეფექტი რომ ჩამოაცილოთ, თქვენ პირდაპირ ცოცხალ ბუნებას იგრძნობთ მუშის ლხენისას, პირში რომ არ ტყდება.

საზოგადოდ გულწრფელი გახდა ქუჩიშვილი და, აშკარაა, ამით მოიგო ჩვენი გულიც. რამდენიმედ სხვებიც მიჰყვნენ. აბაშელი ხომ სხვაზე ადრე იყო მგმობი ვიწრო ზღუდეებისა და თავიდანვე მზისკენ იწევდა, მაგრამ ამ მზეს, სამწუხაროდ, არასოდეს ჰქონია მწველი ცხუნება, მკბენარი სხივები, სისხლს რომ აჩქროლებს.

აბაშელის მზე სარკეში სჩანს ანარეკლი და მის ბროლში ლამაზ ფერებად ბრჭყვიალებს, დასცურავს. ან, უკეთ რო ვსთქვათ, იგი მოღიმილობის მგოსანია, ტბაში რომ მზეს დაინახავს და თვალს მის ნარნარებაზე ასვენებს. აქტიურობა მუდამ აკლდა ამ მზისადმი სწრაფვას; იგი ბაასი იყო შებრძოლებაზე, არწივისებრ შებმაზე, მაგრამ აბაშელის ამ თქმაში ლოცვა უფრო იყო ჩაქსოვილი. წმინდა, მაგრამ უვნებო ჰიმნი, რომელიც—ვინ იცის—აატანს ცამდე, თუ არა...

მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენს ინტელიგენციას საკმაოდ ენათლავება ეს ვნებიან ბრძოლისთვის მზადება და ვარდნარევი ჩურჩული ჩაყვითლებულ ბაგეებისა. ეს წყურვილი მისგან მოკლული ვერ იქმნების, მაგრამ ვერც წყურვილი მოჰკლავს მის წადილს. არსად ჩანს საზღვარი ჩვენს ზრახვას ფერადებად რომ იშლება მზის გულიდან ამონახეთქი, მაგრამ იმ გულში ვერ ჩავიხედავთ—არწივის თვალები არა გვაქვს, თუმცა აბაშელს მეტად უყვარს არწივი. შეიძლება მასთან უფრო ვნებით მიიწევს კ. მაყაშვილი, შურის ძიებით რომ აგზნებულა; მისი ქართველური სულის ნატეხი—ძველთა კერპის ნამსხვრევია. მაგრამ მაზე უფრო ქვევით... ტყუილად დავასახელე რამდენიმე მგოსანი და ბუნებრივად აღიძრა კითხვა გრიშაშვილი? გრიშაშვილი?

არ ვიცით, როგორია იგი, არ ვიცნობთ მის სულს, მაგრამ გვიყვარს, გვიყვარს ყრმული სიყვარულით, აკვანზე რომ ფერადი მძივები უკიდია. ხალისით, გატაცებით ვკითხულობთ და მაინც არ მოგვბეზრდა, მაინც გვინდა... ვის მობეზრდება უზრუნველი ბულბულის სტვენა, თუნდაც დიდად იყოთ გართული მუშაობაში, დღიურ ზრუნვაში.

გრიშაშვილს ბევრი მოყვარე ჰყავდა მაგრამ მტერიც ბევრი ამოაჩნდა, მოძლე. მიუხედავად ამისა ჩვენ ხალხს მაინც უყვარს იგი და მე არ მეგულვება ახალგაზრდებში მეორე, უფრო პოპულიარული მწერალი. აშკარაა, ჩვენ სულიერ განცდას და ცხოვრების ახალ ფორმას იგი უფრო შეეგუა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრჯერ ითქვა: უაზრობაა, წარმოუდგენელია: „მიტკლის ბაგე", „ბროლის ღიმილი" და სხვა უცნაური სახეები,—ყველა ეს საკმაოდ დამკვიდრდა ჩვენში და დღეს მრავალმა პოეტებმა უკვე ბუნებრივად და პოპულიარულად გახადეს ამ სახეობით აზროვნობა... ძველი ფორმა ვეღარ უდგებოდა დღეის განცდას, წუთებით რომ იცვლება და სხვაფერდება; საჭირო იყო ახალი, მსუბუქი და ფრთალალი სიტყვა, რომელიც ჩვენ მონავარდე ფანტაზიას ტყვიად არ დააწვებოდა... შთაბეჭდილებათა ცვლაში გულწრფელნი ვრჩებოდით, მაგრამ სიტყვა ყალბი იყო და სახე მიუდგომელი და აი, სთქვა პირველმა: გრძნობათა სავანე ახალ სახეებად გადაშალა და რაგინდ რაფერი მკვეთარება არ აღმოჩნდა მის უხვ ნიჭში?..

ყველა შინაგნით ალღოით გრძნობს, რომ მან მოიტანა პირველმა იგი ახალი სახე და უმეშვეო განცდანი გულწრფელად გაშალა ჭრელ ხალიჩად. ამიტომ ყოველი ახალი სიტყვის წადილი ჩვენს პოეზიაში გრიშაშვილის ნათესაობას ითხოვს, მისკენ იწევს. მის მფარველობის ქვეშ უნდა იყოს (მოიგონეთ გრიშაშვილი „ცისფ. ყანწებში").

⁂

გრიშაშვილი ხომ ოსტატია მშვენიერების აღწერაში, მაგრამ ყველაფერს, სამწუხაროდ, საზღვარი ედება და დღეს დავითის ფსალმუნის მკვეთრი სახეებიც გაიცვითა; მჭრელი ჩლუნგად იქცა, სიცხოველე დაჰკარგა და ჩვენც ამ ტკბილ საწამლავს შევეჩვიეთ; ვეღარ მოგვყვართ აღტაცებაში! გრიშაშვილს ამ დარგშიც არ დაუკარგავს სრულიად ინტერესი. სილამაზის ინდივიდუალური განცდა იმდენნაირად იშლება, რომ ეს კოლეიდოსკოპი მოსაწყენი არასდროს ხდება. განსაკუთრებით ბოლო ხანებში უფრო გაცხოველდა ჩვენი ინტერესი... მიგვიხვდა საიდუმლოებას: უაილდის შემდეგ სილამაზის აღწერა და დანტეს შემდგომ სიყვარულის ასახვა ძველის გზით სახიფათო იქმნებოდა მწერლისთვის. ამიტომ განსაკუთრებულის გასაღებით მიუდგა ამ საიდუმლოებათა სამეფოს სიფაქიზეს. მიხვდა, რომ ყოველი ერი, როგორც ინდივიდუალობა პოტენციალურად ატარებს თვის განსაკუთრებით ალღოს, ამ თავისებურობას კი განსაკუთრებულივე პირობები ქმნიან: ბუნების, ენის, ისტორიის, ზნე-ჩვეულების თავისებურობაში თუ გაიშლება ახალი სახე, მხოლოდ მაშინ თუ გახდება მიმზიდველი და ორიგინალური. მშვენიერების განცდა ზოგადია, მაგრამ ფორმა მისი გარდაშლისა და თქმის სხვა და სხვაა და სწორედ ამ სხვა და სხვაობაშია მისი ყოფის საიდუმლოება; ერის სული მკაფიოდ სჩანს მის სტილში... და გრიშაშვილმაც სწორედ აუღო ალღო ამ მოვლენას.

მისი სული ქართულის; ტემპერამენტით აღიგზნო, მთის მწვერვალებს უცებ რომ სწვდება და ასევე უეცრივ ეშვება ქვევით. როგორც ჭეშმარიტმა ქართველმა, ზომიერება არაფერში არ დაიცვა და ბუნებას მოაშორა ის ნისლი, რომელიც სინამდვილეში საქართველოსთვის უცხოა, აშკარად და ლიად გამოჰკვეთა სახეები, რადგან მიხვდა, რომ საქართველოს მზე უფრო ცხუნვარეა და ფერების კონტრასტის წარმომდენი, მუქობის მოყვარული და არა გარდამავალ ტონების წყარო.

განსაკუთრებით ბოლო ხანებში დაეწაფა ავტორი ძველ ქართულ მწერლობას, როცა სოციალ-პოლიტიკური კითხვები აგრე მწვავე არ იყო საქართველოსთვის და როცა მისი თავისუფალი და ლაღი ბუნება მშვენიერების სხივებით უხვად თვრებოდა. უეჭველად შეამჩნევდით მრავალ ფორმებს და სიტყვებს, რომლებიც, უცნაურობის გამო, გადავარდა ხმარებიდან და რომლებითაც მდიდარია წარსულის მწერლობა. დღეს გრიშაშვილი მარჯვეა და მხნე როგორც სიცხოველით, გაშლილობით, აგრეთვე ლექსთა წყობით, რითმობით. მას ზურგს უმაგრებს მდიდარი ლექსიკონი და შეულახველი ქართული სული, ჩვენთვის რომ განყენებულობად გამხდარა და მკვდარ, გაყვითლებულ წიგნებში მომწყვდეულა... იგი მალხაზია, დღეის ქალაქის შვილი, რომლის შთაბეჭდილებანი წუთებით განიზომება, მაგრამ სამშობლოს მკერდზე სწორად აღზრდილი, ტან-აყრილი, უცხოეთის ჰავა რომ არ უგრძვნია. ეს ბაღის ყვავილი ოთახში ვერ გასძლებს, შუშაბანდში ვერ აიყრიდა ტანს... ამიტომ განსაკუთრებულის სიამოვნებით ვეგებებით გრიშაშვილის საკმაოდ გაქართველებას. ახალი ყველაფერი უცხოდ გვეჩვენება, გადმონერგილად, მაგრამ გრიშაშვილმა გვაგრძნობინა, რომ ახალი შეიძლება ქართულიც იყოს, ჩვენი პირმშო და ნათესაური. და ჩვენც ვამაყობთ, რომ ნიადაგმა აღმოგვიცენა ახალი სიტყვა. აბა ყური ვათხოვოთ რაგვარ ნათესაურ დღეს მივიწყებულ, სახეებს ხმარობს ავტორი მშვენიერების ასაწერად:

„შენ კარგი ხარ! ვით ბესიკის ქამანჩური მუხამბაზი,
სტვირის ტანზე თმა გეხვევა, ვი კენარსა—ესურვაზ
შენს თვალებში შავად ვხედავ შუ ღამის სივრცეს ბზინ
და სივრცეში—კაკლის ხიდან გამომწვარ ქვანახშირს
რის საუბრობ: მაგ ბაგეთგან მო ჩქეფს შარბათ—ბანგ-ბადაგი,
რის იცინი: შენს ლოყებზე დად ღიმის ლიანდაგი." (იხ. „დამბრუნდი".)

ასეთივე თავისებური და ვნებიანი მრავალ სახეებით აგზნებული წყევლ პოეტისა. რადგან პოეტის განცდ ელემენტარულ საგნებს დატრიალებ მასში უცხო მხოლოდ შუა ხაზზე გარდამავალი ურთ-ერთში.

მარტივია მისი მოტივები: სიყვარული, სიძულვილი, გმობა და ვნებათ აღგზნება, მაგრამ თვით ამ პრიმიტივ-ში სჩანს ფერთა სიუხვე და გრძნობათ სიჭარბე. წყევლაც ისეთივე ბუნებრივია შეყვარებულისთვის, ვით ქე ხმა და პოეტმა შესძლო ესეც ორიგინალურად გამოეთქვა, შურის ძ მას ისევე მთლიანად აღაგზნებს, როგორც ტრფიალი და ამ დიდ ენერგ ფართო მასშტაბით სწადია ჯავ ყრა, აქ იგი ნამდვილი შვილია თავ ქვეყნისა, რომელმაც არ იცის მოღალატის დასჯაში:

„ასო-ასო ავჭრი შენს ტანს და
ხორცთა ანაფცქვნენს

---

*) იხ. „სახ. ფურცელი", № 761.

და ნახევარის საკითხის გადაწყვეტაც საზოგადო კრებას მიანდეთო. მუშებმა მოილაპარაკეს, დათანხმდნენ და მუშაობა განაახლეს. ამგვარად გაფიცვა გათავდა.

✦ **ქართული ფრესკების გამოფენა,** რომელიც განზრახული იყო 4 იანვარს, გაიხსნება კვირას 8 იანვარს, ნაშუადღევის პირველ საათზე.

✦ **ნიკოლოზ ბარათაშვილის ხსოვნას.** ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიამ დაადგინა, კუკიის ქალთა პირველ დაწყებით საქალაქო სკოლას ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელი უწოდოს ამ პოეტის დაბადების ასის წლის თავის აღსანიშნავად.

✦ **პროფესორი ალ. ხახანაშვილის** ანდერძით განსვენებულის სახლი, როგორც მკითხველებმა იციან, გორის ქალაქის თვითმართველობას უნდა ჩაებარებინა, მაგრამ განსვენებულის მემკვიდრეებმა ქალაქის თვითმართველობას დავა აუტეხეს სასამართლოში, ამ დღეებში საქმე დასრულდა ტფ. სასამართლო პალატაში საქმე გორის ქალაქის თვითმართველობის სასარგებლოდ გადასწყდა.

✦ **დახმარება სახოფლო-სამეურნეო საზოგადოებებს.** ტფილისის გუბერნატორის განკარგულებაში ამ ჟამად 5,300 მან. რომელიც ასე უნდა იქმნას განწილებული: 1) კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას—2,000 მან., 2) ქართულ სამეურნეო საზოგადოებას—1,200 მან., 3) სომხურ სამეურნეო საზოგადოებას—1,200 მან., 4) ფრინველთა მომშენებელ საზოგადოებას—200 მან., 5) მეხილეობის საზოგადოებას—500 მან და 6) მეფუტკრეობის საზოგადოებას—200 მან.

✦ **ახალი სკოლა.** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, გახსნას კოლაქში ქართული სკოლა, თუ ამ სკოლის შესანახ ხარჯებს სიღნაღის განყოფილება იკისრებს.

✦ **სოხუმის განყოფილებას** ქ. შ. წ.-კითხვის გამავც. საზოგადოებამ სთხოვა, გამოუგზავნოს სოხუმის თავშესაფარს გაწეულ ხარჯების ანგარიში.

✦ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების განყოფილება ტფილისში**აც არსდება თანახმად ახალ წესდების მოთხოვნილებისა. განყოფილება დაარსდება ახალ წესდების დამტკიცების შემდეგ.

✦ **ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოების გამგეობამ სთქციებს** წინადადება მისცა, დააჩქარონ 1917 წლის ხარჯთაღრიცხვათა წარდგენა.

✦ **ახალი წიგნები** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, დაბეჭდოს შემდეგი წიგნები: 1) ელგუჯა ალ. ყაზბეგისა, 2) ალ. ხახანაშვილის სიტყვიერების ისტორია მე-19 საუკუნისა. 3) ვეფხის ტყაოსანი სახალხო საკითხავად და 4) ბუნების კარი ზოგიერთ ფაქტიურ ცვლილებით.

✦ **მილოცვა.** ჩვენ №-ს ბატალიონში მსახურნი პრაპორჩიკები ვალიკო დუგლაძე და კოწია წვერავა მოკლებულნი სამშობლო მხიარულებას ვულოცავთ ახალს წელს მშობლებს, ნათესავებს და ნაცნობებს, ვუსურვებთ ბედნიერსა და მხიარულს ცხოვრებას.

✦ **ვ. გუნიას საიუბილეო კომიტეტის** კრება ამ დღეებში იქნება მოწვეული. წინასწარი პროგრამა დღესასწაულისა უკვე შედგენილია.

✦ **ახალი ქართული სკოლა.** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, ახლავე გახსნას გელში ქართული სკოლა, თუ ამას შესაძლებლად დაინახავს ქუთაისის განყოფილება.

✦ ხარფუხის საზოგადო კლუბში გაიმართება ოპერეტი, რუს არტისტთა მიერ. ოპერეტზე შესვლა უფასოა.

სოფლად და ქალაქად

თელავი

✦ ეს ერთი კვირაა ელექტრონის სადგური არა მუშაობს მაზუთის უქონლობის გამო და მთელი ქალაქი, სადაც ელექტრონია გაყვანილი ბნელი კუმეტით არის მოცული.

✦ თეთრი პური ხომ დიდი ხანია არა ცხვება, თალხი პურის ნაკლულოვანებამაც თავი იჩინა, ახალწლის წინა დღეს ლავაშებულები დადიოდნენ მცხოვრებნი, მაგრამ ერთი გირვანქა პურიც არსად არ იშოვებოდა.

✦ ამ ჟამად კახეთის რკინის გზით იმდენი ხალხი მიდი-მოდის, რომ ვაგონებში ვერ ეტევიან, არა თუ დასაჯდომი არამედ დასადგომი ადგილიც არსად არის და დიდ ტანჯვას განიცდიან მგზავრები.

სასურველია რკ. გზის ახალმა გამგეობამ მაინც მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება.

✦ კახეთის წვ. კრედ. კავშირმა მიიღო ერთი ვაგონი შაქრის ფხვნილი რომელსაც სოფლის კოოპერატივებს გაუნაწილებს.

✦ მომხმარებელ საზოგ. მალაზიამ ტფილისის კავშირისაგან მიიღო 20 ტომარა შაქრის ფხვნილი, რომელიც მარტო წევრთ მიეცემათ, რადგანაც ქალაქის მცხოვრებთათვის ქალ. გამგეობამ ამ დღეებში მიიღო ერთი ვაგონი ფხვნილი.

ტფ. ქართულ დრამატიულ საზოგადოებაში.

(წლიური კრება)

წლიური კრების გაგრძელება გაიმართა 3 იანვარს, სალამოს 8 საათზე სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დარბაზში გ. დ. ჟურულის თავმჯდომარეობით.

კრებამ თავმჯდომარის წინადადებით ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულ მოღვაწის სტეფანე თევდორეს ძის ჰრელაშვილის ხსოვნას და შემდეგ მორიგ საკითხთა განხილვას შეუდგა.

კრებამ თანახმად გამგეობის წინადადებისა დაადგინა:

1) საჭიროდ იქმნას აღიარებული მსახიობთა საპროფესიო კავშირის დაარსება და დაევალოს მომავალ გამგეობას, ეს საკითხი გამოარკვიოს ქუთაისისა და სხვა გამგეობებთან შეთანხმებით, 2) მოიწვიოს გამგეობამ ფასიანი ერთი კაცი, რომელიც წარმოდგენების გამართვას ხელმძღვანელობას გაუწევს: გამგეობას ნება მიეცეს ასეთი კაცი თავის შემადგენლობიდან აირჩიოს, თუ იქნება შესაფერი პირი, ან არა და მოიწვიოს გარეშე პირი; რა მიეცეს სასყიდლად ასეთს პირს, ეს საკითხი უნდა გადასწყდეს მომავალ საგანგებო კრებაზე, 3) დაევალოს გამგეობას, რათა მომავალ კრებისთვის დრამატიულ კურსების პროექტი წარმოადგინოს, 4) მიიღოს ღონის ძიებანი, რათა სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობის ოქმები ჩქარა დაიბეჭდოს, 5) პენსიონერთა საკითხი გამგეობამ ყოველ მხრივ გამოარკვიოს და მომავალ მაისის კრებას თავისი მოსაზრებანი წარმოუდგინოს ამ საკითხის შესახებ, 6) განეგრძოს ავადმყოფს მსახიობს ვ. შალიკაშვილს ყოველთვიური დახმარება (50 მანეთი), 7) შეძენილ იქმნას ვასო აბაშიძის ბიბლიოთეკა, რომელსაც მსახიობი საზოგადოებას შეღავათიანს პირობებში უთმობს და 8) დაევალოს გამგეობას, რათა მიიღოს ღონისძიებანი ვ. გუნიას იუბილეს ჩქარა გასამართავად.

დასასრულ თანამდებობის პირთა არჩევნები მოხდა.

ფარულის კენჭის ყრით გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ:

1) ი. გედევანიშვილი, რომელმაც მიიღო 53 თეთრი და ორი შავი კენჭი, 2) შალვა მიქელაძე (40—14), 3) ი. ბარათაშვილი (44—11), 4) ნიკ. ერისთავი (37—17), 5) ა. გვაზავა (29—26), 6) ა. ჰუმბაძე (41—14) და 7) ნიკ. ქართველიშვილი (38—17).

კანდიდატებად არჩეულ იქმნენ: სოლომან ახვლედიანი (47—8), ალ. შანშიაშვილი (44—11) და სილოვან გაბუნია (43—12). ამათ გარდა ყუთი არავის დაუდგავს.

სარევიზიო კომისიის წევრებად უკენჭოდ და ერთხმად არჩეულ იქმნენ: ადამ ფორაქიშვილი, ერეკლე რამიშვილი, ისიდორე ჰანტურია და გიორგი მაჭავარიანი.

წლიური კრება ნაშუაღამევის 1 საათზე დასრულდა.

ქიშპობა თუ შეთანხმება?

(ბაქოს მუსულმ. საქვ. საზოგადოების საყურადღებოდ).

„მკაში გარიგებას ხვნაში გარიგება სჯობია“.

ხალხ. ანდაზა.

სამაჰმადიანო საქართველოს მწარე ბედი დაატყდა თავსა. ცრემლად ნაქცევ ძმების მზრუნველად მთელი ქართველი ერი გამოვიდა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების სახით. უკანასკნელი ეხმარება ზნეობრივად, ძმური სიტყვით და ქონებრივად: აწვდის ფულს, საცმელს, საზრდოს, გახსნა სკოლებიც, სადაც ასწავლიან ქართულრუსულ წერა-კითხვას, ჰრა-კერვას, ხელობას. ქართველი საზოგადოების ერთად-ერთი გულწრფელი სურვილია: 38 წლის განმავლობაში მივიწყებული თავის მოვალეობა დღეს მაინც პირნათლად მოიხადოს, ეროვნული თვითცნობიერება შეიტანოს სამაჰმადიანო საქართველოს ბნელ კუნჭულებში, სინათლისა და კულტურის გზაზე გამოიყვანოს, აღამაღლოს ზნეობრივად და ქონებრივად წელში გაჰმართოს. **სარწმუნოება არა ჰნიშნავს ეროვნებას,** ეროვნება სხვა და სხვა სარწმუნოებას თავისუფლად ეგუება. შეიძლება ვიყვე კათოლიკე, მაგრამ ფრანგი ან იტალიელი კი არა, შეიძლება ვიყვე მაჰმადიანის სარწმუნოების, მაგრამ ეროვნებით თურქი კი არა. აგრეთვე შეიძლება ვიყვე ქართველი, მაგრამ სარწმუნოებით ისრაელი ან გრიგორიანი, შეიძლება ქართველი ვიყვე სულით, გულით, გრძნობით, მაგრამ მაჰმადის სარწმუნოებას ვიზიარებდე. მეოცე საუკუნემ ეს ყოველ-დღიურ ჭეშმარიტებად გადააქცია და ვწუხვართ, რომ დღეს ამაზე ამდენსა ვწერთ და ვლაპარაკობთ. და ვინც გულწრფელად შოვა სამაჰმადიანო საქართველოში ამ უბედურ ხალხის დასახმარებლად და საშველად, **ამათი ზნეობრივი და ქონებრივი დახმარება უნდა ჰქონდეს მხოლოდ დასახული.** პოლიტიკანობა, სარწმუნოებრივ ფანატიზმის გაღვივება ვერაფერ ხეირს მოუტანს ხალხს, რომელსაც თავი თვისიც ვერ უცვნია ჯერ და ეკონომიურ სიდუხჭირის უღელ ქვეშა ჰგმინავს და ჰვალალობს. სამწუხაროა, რომ ამაზე გვიხდება წერა, მაგრამ მაინც არ შეგვიძლიან გვერდი ავუხვიოთ იმ გარემოებას, რომ **ბაქოს მუსულმ. საქვ. საზოგადოებას რაღაც ტენდენცია და უნდობლობა ეტყობა ჩვენ საქმიანობისადმი.** მახსოვს, ამას წინად გაზეთებში ცნობად იყო მოყვანილი—მუსულმ. საქვ. საზოგადოების წარმომადგენელმა ვგონებ ორი ქართველი მაჰმადიანი ბავშვი წაიყვანა ბაქოში მუსულმანთა თავშესაფარში, სადაც მათ ქართული წერა-კითხვა აუკრძალეს. ეხლახანს ბ. კარბელიც აღნიშნავდა ჩვენს გაზეთში—ქართ. საქვ. საზოგადოების გარდა სამაჰმადიანო საქართველოში მუშაობს ბაქოს მუსულმ. საქვ. საზოგადოებაც, რომელიც თავის გეგმით მოდის აქ და საჭიროა ხვნაშივე გავრიგდეთ, მკაში გარიგებას; სჯობს ვიცოდეთ ახლავე—რა ჰსურს მუსულმ. საზოგადოებას—აქაურთა ფეხზე წამოყენება გონებრივად და ქონებრივად როგორც ქართველების — ეროვნებით და მაჰმადიანების—სარწმუნოებით, თუ მაჰმადიანების — სარწმუნოებით და ეროვნებითაც თურქებისა. სამწუხაროდ ამ საკითხს მაშინ ყურადღება არავინ მიაქცია, არც თუ დღესა ჰფიქრობს ვინმე ამაზე დალაპარაკებას. საკითხი კი საჭიროა და მწვავე. უნდა ახლავე ვიცოდეთ ერთმანეთის გულის ზრახვა, ვიდრე მუშაობა დასაწყისშია და უთანხმოება არ ჩამოვარდნილა ორ საქმეთა შორის. ბაქოს მუსულმ. საქვ. საზოგ. უნდა დარწმუნდეს, რომ **ჩვენ მივდივართ ახლად ნაპოვნ ძმებთან, როგორც ქართველებთან ეროვნებით და სარწმუნოებით მაჰმადიანებთან,** მაშასადამე ჩვენ მათ არც სარწმუნოებას, არც სინიდისს, არც ზნეს, ადათ-ჩვეულებას არ შევეხებით, სამაგიეროდ ხსენებულმა საზოგადოებამ უნდა გვიპასუხოს—**ჰწამს თუ არა ქართველი მაჰმადიანები როგორც ქართველნი ეროვნობით და ჩვენს მუშაობაში ურევს თუ არა სარწმუნოებრივ ფანატიზმს?** ეს ჩვენთვის საჭიროა, რათა სამაჰმადიანო საქართველოში კულტურულმა მუშაობამ სწორე გზა მიიღოს და ერთმანეთთან დაახლოვება ურთ-ერთის მტკიცე ნდობაზე იყვეს აგებული. რომ ქართველ მაჰმადიანებს ეხმარებიან ეს კი არა გვწყინს! პირ-იქით, ჩვენი დახმარება წვეთია ზღვაში, ისე დიდია სამაჰმადიანო საქართველოში სიღარიბე და გასაჭირი, ბაქოს მუსულმ. საქვ. საზოგადოებასაც მადლობა უნდა მოვახსენოთ, რომ მოძმეთ დახმარების ხელი გამოუწოდეს, მაგრამ როცა ხსენებულ მუს. საზოგადოების მუშაობას რაღაც უნდობლობა და შიში ემჩნევა, მაშინ არ შეგვიძლიან მას კითხვით არ მივმართოთ—რაზედ?... რისთვის? არ იქნება ის იმ საქმის ღალატი, რომლის აგებას დღეს ამოდენა ძალასა და ღონეს ვანდომებთ? არ ავნებს ორი მოძმის დაახლოვების საქმეს, რომლის განმტკიცება და აყვავება ჩვენთვის ისე სასურველია? წინდაწინვე ბოდიშს მოვიხდი მუსულმ. საზოგადოების წინაშე, თუ ის ხმა, რომელიც მე გავიგონე, ტყუილი აღმოჩნდა, ხოლო თუ მართალია, არ შემიძლიან მისი უცნაური განზრახვა განცვიფრებულმა არ ვამცნო ქართველ საზოგადოებას. ეხლახანს სოფ. ორთაბათომში ვიყავი და ქართველმა მაჰმადიანებმა გადმომცეს, რომ **მალე მესამე სკოლა გვექნება, რადგან ბაქოს მუს. საქვ. საზ—ბა ორთაბათომ-ყოროლისთავში თურქულ სკოლასა ხსნის** და შენობას უკვე ეძებენ კიდეცო. საზოგადოების აი ეს განზრახვა გვაფიქრებინებს, რომ ჩვენს მუშაობას მოძმე მუსულმანები უნდობლად უყურებენ და თავიანთ სკოლა უნდა ჩაჩხირონ იქ, სადაც ამას **საჭიროება სრულიად არ მოითხოვს.** სოფ. ორთაბათომში 50—55 კომლია ქართველი მაჰმადიანი, სოფ. ყოროლისთავში 60—65 კომლი. უკანასკნელი პირველის გაგრძელებაა. პირველში არსებობს ვგონებ აგერ 8—9 წელიწადია ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, ყოროლისთავში 1916 წ. მარტიდან ქართ. საქვ. საზოგადოებამ გახსნა ქართული სკოლა, სადაც ასწავლიან ქართულ-რუსულ წერა-კითხვას, ხელ-საქმესა და მაჰმადიანის სჯულს.

თუ სამინისტრო სკოლას ხსენებული საზოგადოება არ ენდობა, რადგან რუსიფიკაცია და უკულმართობაა იქ გამეფებული, სამაგიეროდ ქართული სკოლა ამ სენისაგან თავისუფალია და საქმე ჩინებულადაც არის დაყენებული. მაშ რა საჭიროა თათრული სკოლის ჩაჩხირვა იქ, სადაც 100—120 კომლი ქართველი მაჰმადიანია და უკვე არსებობს ქართული სკოლაც? მეოთხე თვეა სამაჰმადიანო საქართველოში ვცხოვრობ და დავრწმუნდი, რომ ქართველი მაჰმადიანები სიყვარულით და ნდობით ეპყრობიან ქართულ სკოლას, ბავშვები ხალისით სწავლობენ ქართულს, რუსულს, მაჰმადის სჯულს, ხელსაქმესა და ხელობას, მაშ რა მაჩანჩალა იქნება მესამე სკოლა, თურქული იქნება იგი თუ გერმანული? თუ მართალია მუსულ. საქვ. საზოგადოების განზრახვა, ვაი თუ ამას სხვა რამე ედოს სარჩულად და უდროოდ გაწყდეს ის ძმობის და თანხმობის სიმი, რომელიც ჩვენს შორის გაბა.

ქართველ მაჰმადიანებს დღეს ბევრი რამ ესაჭიროებათ: კულტურა, განათლება, ზნეობრივი ამაღლება, დახმარება ქონებრივი. თუ მაინცა და მაინც მუსულმ. საზ—ბას ქართველ მაჰმა-

---

ჩემთან ერთად, ერი ჩემი განერწყავს
და შეაჩვენებს.
ან მაგ სახეს ისე შევშლი, ისე ტლანქად, ღრმად, საგრძნობლად,
რომ გადიქცე ბავშვებისთვის საზერიკო გასართობლად.
ან ფხა—ასხმულ, ცხელ-ცხელ ბებუთს მკერდში ჩაგცემ ისე მძლავრად,
რომ ეგ შენი თოვლის ტანი გადაიქცეს წითელ სტავრად.
რომ მაგ ნაფეთქ თბილის სისხლით თვალ ალმასა თეთრო გველო
ეს მწყურვალე ჩემი ტუჩი დავალბო და დავასველო.“ (იქვე)

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი თავშეუკავებელი აგზნება სახიფათო ხდება პოეტისათვის. იგი უკვე ვეღარ სცებს საზღვარს მშვენიერ ძაგებისა და ტლანქ შეჩვენების შორის: ერთი მეორეში გადადის და ესთეტიურ განცდას სინამდვილის მდაბალ სიცხადით აქარწყლებს; აქვე, საცა ასეთი სახიერი შურის ძიება იშლება, ავტორის თავშეუკავებლობა პირდაპირ არა ესთეტიურ ნაკვეთს გვაძლევს ამ ქმნაში დისჰარმონია შეაქვს: „არ შევისმენ შენს ლაღადისს, შენს ვედრებას, შენს ნათქვამსა:—**დავწვავ წიგნს და მყრალ კოცონს შევუკეთებ შენს ბილწ გვამსა**“. პირდაპირ არა ბუნებრივია პოეტურ კეთილშობილ და ნაზ სტრუქტურისათვის ასეთი პროზაული სახე... შეიძლება იყოს ძლიერი, უსაზღვრო და მკაცრი შურის ძიება შეყვარებულისადმი, მაგრამ აქ ენერგია გროვდება ტიტანიურის მასშტაბით და არა მდაბალ ხარისხოვან, ფრიად უხამუშო სახეთა დაზავებით.

რა რიგად ბუნებრივი და წარმტაცია, სამაგიეროდ, ავტორი, როცა წუთიერ სულის განცდის წიაღში დაჰქრის. უეჭველია, თვითეულ ჩვენგანს განუცდია ეგ წუთები, მაგრამ უმწეონი ვყოფილვართ მის აღბეჭდვაში; და როცა ავტორის სახეს ვიხილავთ ამ სფეროში მადლიანად ნამღლავენს, მის ფორმაში ვახვევთ—ელვის გრძნობამ რომ დაგვიარა, მაგრამ ვერ მივხვდით წინად—თუ რად?

სწორედ ეგ არის ბუნებრიობა, როცა განცდა თვალებს გაახელს და ორგანიულ უნათესავდება ავტორის მინაკვლევ ფორმას.

წუთით იყო იგი სახე თქვენთვის მნიშვნელოვანი, მაგრამ როცა უცხოზე გადადით, მან დაჰკარგა თვისი სიმკვეთრე და სრულიად არარად იქცა. გიკვირთ კიდეც—რა გიზიდავდათ იმ წუთს?

ნამდვილი პოეტი სწორედ მის სწორ **თვისებას** სახავს, ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით და თვალს გვიხელს, რომ სხვა, ჩვეულ წუთებშიც განვიგრძნოთ იგივ უცნაურობა და მისი მნიშვნელობა მივხვდეთ. არის საგნები, რომელთა შესახებ ბევრი წერა თვითონ მათ სიმარტივეს ნისლოვანად ხდის... ასეა აქაც.

ამიტომ თვითონ სურათზე მინდა გადვიდე.

გინახავთ სატრფო, რომელიც თავდავიწყებით გიყვართ, პაპიროსს რომ ეწეოდა? თუ გინახავთ, აშკარაა მრავალი ფიქრები, ხან შურისძიებაც, ხან რაღაც გამოუცნობი სევდაც გრძნიდათ ამ დროს...

და თქვენ ჰკითხულობთ გრიშაშვილის „გლარჯის მილს“ და გრწამთ, ცხადად ხედავთ, რომ ეს თქვენი სატრფოა, რომ ის სწორედ ასე იჯდა, ასე სწევდა პაპიროსს და ამგვარ ფიქრებს იწვევდა თქვენში. მშვენიერი მოტყუილების საუკეთესო ნიმუში სჩანს ამ პაწია ლექსში.

„როცა ქალი დივანზე ზის, ზის ჩაფიქრ-ჩალურმული,
როცა პირში უკავია სუნოვანი გლარჯის მილი,
როცა თვალი მუქად უჩანს, როცა ლოყა უჩანს ბაცად,
როცა ფეხი ფეხზე უძევს კაცის თვალის მოსატაცად...“

აქ რამდენიმე შტრიხით უკვე სავსებით ცოცხალი ქალია, რამდენიმედ ტიპიურიც თავის კეკლუცობით, თქვენ იმასაც ხედებით—რა წრის უნდა იყოს იგი, დივანი ერთგვარი ფონია ამ შთაბეჭდილების საეკონომიოდ... თანამედროვე ქალაქის შვილი, ინტელიგენტი ქალი, რომელსაც აგრე რიგად უყვარს სატრფოს გამოჯავრება...

„და სწევს თუთუნს ხამუშ-ხამუშ და
სვამს ორთქლსა დაყოვნებით,
და სწევს ნაგრძნობ-ნაფახითა... სწევს გიჟურად, ჟინით... ვნებით...
მაშინ გულში ვებრძვი ჩემს იჭვს,
ვცემ ნალარას, ვცემ ყიჟინსა,
ვამბობ: სჩანს „მცვლის, რომ ჩემს ნაცვლად ამ თუთუნზე იკლავს ჟინსა“.

ასეთი უმნიშვნელო რამ მხოლოდ წუთით თუ აგვაგრძნებდა და შემდეგ ყოველივეს გონების თვალი დააცხრობდა-დაანელებდა. მაგრამ აი, მგოსანმა გაასახიერა იგი და წვრილმანი ჩამაფიქრებელ მშვენიერების იერით გაშალა. ასევე ბუნებრივია ფიქრების აღძვრა სადმე განმარტოებულ ადგილას, განსაკუთრებით სასაფლაოზე... აქ მრავალი აზრი იბადება ჩვენში, მაგრამ ყველაზე ნაკლებ ის ტრფიალის ეშხი პოეტს რომ ეჩვენება „უნაბის ფერ საღამოთი“. მაგრამ ტრფიალი და ცელქობა აქაც ბუნებრივი ხდება, რაკი პოეტის სულის ღელვით გავიმსჭვალებით. იმდენად აქტიურია ბუნება მგოსნისა, რომ სწორედ აქ, არყოფნის ქვეყანაში მორევია წყურვილი სიცოცხლისა და ხალისიანობის. და საფლავის წარწერები—მარტოოდენ სეირნობის დროს სამასლაათო და საცელქო საგნად ხდება. ღიმი იფრქვევა ამ წარწერებზეც. თვითონ პოეტსაც კი უკვირს, როცა იგი ფხიზელის თვალით გადახედავს ამ ყოფას:

„აქ რად მოვრბივართ, აქ მზის ნადიმზე,
აქ რად ვსეირნობთ, აქ მკვდართა ზედა
რატომ არ ვფიქრობთ, რომ ერთხელ, ვით მზე,
ჩვენც ჩამოვსხდებით ყინვის მთაზედა“. („უნაბის ფერი საღამო“).

მაგრამ იმდენად აქტიურია პოეტის ბუნება, რომ ამ წუთსაც არ შეუძლია სევდას და უნუგეშო ფიქრებს გაჰყვეს. ამ უნუგეშობის ფონზე იგი მაინც უტიფრად ცელქობს და სიკვდილშიაც სიცოცხლის დასაწყისს ხედავს. ბუნების განახლება მას უშრეტ ძალას აძლევს:

„ზოგ საფლავს ხავსი გადაჰფენოდა,
წყლის ფერი ხავსი, ჩვილი, მალხაზი,
ზოგზე კი ვარდი ისე შვენოდა,
ვით შენს ლოყაზე ღიმილის ხაზი“. (იქვე).

სიცოცხლე თვის დასაბამს სიკვდილის წიაღში ჰპოებს; არავითარი სისტემა საამისოდ პოეტს არა აქვს, მაგრამ მისი ცქრიალა ბუნება ორგანიულად მარტო ამ სახეებს ითვისებს.

„ჩვენ ვსეირნობდით,—და რას დავდევდით,
თუ არრდილები გვიმჟღერდნენ ხელსა!?“.

ავტორი იმდენად მოჰარბებულ ენერგიას ატარებს, რომ მისთვის სრულიად არ არის საჭირო—სხვას გაუზიაროს წადილი და ძიება სიცოცხლის აზრისა, მას მარტოობა უფრო იზიდავს, საცა შეუძლია ლაღად გაშალოს თვისი მჩქეფარი ბუნება.

ეს მარტოობა ძველი მოტივია ჩვენი პოეზიის, მაგრამ მარტოობაში მარტო სევდა თუ უმხელიათ აქამდე, ხოლო ს-ცოცხლის წყურვილი მარტოობაში ვერ გაუღრმავებიათ. სწორედ ის კოსმიური დასაწყისი, რომელიც თავში აღვნიშნე თვის მარტოოდენ ჩანასახს ჰპოებს გრიშაშვილში, ასეთ დროს მასში არ იძვრის შიში და ძრწოლა მარტოობისა და სპეტაკ, შეულახველ ბუნების წიაღში სული მისი ლხინობს ჟინ მორევით:

„ძლივს ავმარტოვდი, ძლივს მეღირსა ამ მთების ხილვა!
ვიშ რა კარგია მგოსნის ლხენა-ლხენა ბაგშური!.“

მან იცის, რომ იქ ვერ ვინ მიაგნებს, თუ არ „მისებრ სულით მგზნებარი, რომ ერთად „გაამეფონ ტყე ყარუუმი... ბნელი, ნისლური“...

ხალხი კი მის ზვიად ბუნებას ვერ ასხამს ფრთას და გზა აბნეული, ღვთის სახეს განშორებული, მზაკვრულად შეხედება მგოსნის წმინდა, რელიგიურ აგზნებას. ეს რელიგია იქმნება ვნებით აღგზნებული, უმეშვეო მეტყველება ღმერთთან... დღეს კი ამ ხალხს პოეტი ბრაზმორევით ჰკიცხავს:

„შეგიდგენიათ რაღაც წიგნი, და ხალხთა კრებას
უკითხავთ, მღერით, სასოებით, უვნებო ვნებით;—
მე თქვენ დაგიწერთ ახალ ფსალმუნს, ახალ მოძღვრებას
და ჩემთან ერთად უკვდავებად გარდაიქმნებით“.
(ახალი ღმერთი).

ბუნების კალთას ნაზარდევი პოეტი განიგრძნობს უკვდავებას და იცის, რომ საამისო არგუმენტაცია არ მოეპოება, მაგრამ რწმენის წყარო კი უშრეტად სდის მასში და იმდენად ვნებიანია, რომ სჯერა ხალხის გადაბადება, უკვდავების დამკვიდრება თუ მის ღმერთს იწამებენ. და მას ბუნებრივად აღმოხდება მოწოდება ამ ახალ რელიგიისადმი, რომლის აზრი თვითონაც არ შეუგნია, მაგრამ ინტუიციით ჩასწვდენია მის წიაღს: „უნდა იწამოთ ჩემი ღმერთი, ღმერთი ახალი“ (იქვე).

მაგრამ საინტერესოა გრიშაშვილის დასახასიათებლად ერთი რამ: ბუნებრივად იბადება კითხვა—მოგვცა რამე ახალი ამ ხანებში მან? სცემს რამე ახალი ძარღვი მის შემოქმედებაში? მხოლოდ ამ მხრით თუ შეიძლება მის შემოქმედების წინსვლის დადასტურება, თორემ მარტო ძველი ჰანგების ახალ სახეებად გარდაშლა საკმარისი არ არის მის მისაღებად.

ამ მხრივ აღსანიშნავია, გარდა „ახალი ღმერთისა“, რომელიც ნისლოვან-ბუნდოვანი ნასახია სარელიგიო ძიებისა, ცოცხალი ვნება, ვნება მჩქეფარი, მშვენიერ ფორმით წარმოდგენილი. ჩვენს კრიტიკაში ამ მხრივ არ არის სწორი აზრი, მაგ. გრ. რობაქიძეს სწამს, რომ გრიშაშვილის პოეზია მარტოოდენ სახეობა, „სპარსული ხალიჩა“, ხოლო ვნება კი მიმქრალი და უსიცოცხლო. შემთხვევა მქონდა წინადაც აღმენიშნა ვნების ცემა (ზღაპარი ჰამაკში და სხვანი), მაგრამ ამ წლის განმავლობაში გრიშაშვილმა განსაკუთრებულის სიძლიერით დასახა ცოცხალი ვნება, აღმოსავლეთის მზით აჩქროლებული. ამ მხრივ საინტერესოა ლექსი „სძინავს დედოფალს“, საცა დედოფალი მიმართავს ვეზირს ვნებით ანთებული: „ო, კობტა ბიჭო! ო, თმახუჭუჭავ!

კარგო ვეზირო, მომეცი ხელი
დღეს, გამიგონე, თვალს ნუ მოხუჭავ
იყავ მღვიძარე, იყავ ფიცხელი!
დღეს აბანოში წასვლას ვაპირებ,
ბიჭო, აენთე ცეცხლოვან ჟინით!
ორი აუზი იქ მოჩინარობს,
იქ ისმის ჰანგი, ჰანგი მზიური,
ერთში ლულიდან რძე მომდინარობს
და მეორეში—შამპანიური.
შენ თვითონ უნდა შემიხსნა ლილი,
შენ თვითონ დამხდი სამოსს ფარჩეულს
თმებ-გადაშლილი, მკერდ-გაღეღილი,
გადავეშვებით აუზს არჩეულს
და დიდხანს... დიდხანს ვიქნებით იქ ჩვენ,
და დიდხანს... დიდხანს გადაგწვავ ტრფობით,
მხოლოდ იცოდე, დაგსჯი, შეგაჩვენ
თუ შენც ვერ დამწვავ ყმაწვილურ გრძნობით!..
ო, კობტა, ბიჭო! ო, თმა-ხუჭუჭავ,
კარგო ვეზირო, მომეცი ხელი:
ამაღამ გესმის, თვალს ნუ მოხუჭავ,
იყავ მღვიძარე! იყავ ფიცხელი!“
(იხ. „სძინავს დედოფალს“)

ასეთივე ძლიერი ვნება სცემს პოეტის ლექსში „ყურთბალიში“, საცა სატრფოს ლოგინში პოეტი ვნებით აღძრული სტირის და ბალიშს ასხმევს ცხელ ცრემლებს. დაცალებული ვნება საშინელის უტეხობით ფუცის სატრფოს. უნდა ითქვას, რომ ავტორს სავსებით დაცული აქვს ერთგვარი საზომი, რომელიც ვნებას პორნოგრაფიამდე არ უშვებს და ტლანქად არ ხდის. ეს დღეს განსაკუთრებით აღსანიშნავია, რადგან მრავალმა ახალმა მგოსანმა, ვნების იდეით ატაცებულმა, ესთეტიური მშვენება დაუკარგა მას და თავშეუკავებელი, მდაბალ-ხარისხოვანი გრძნობა ასახა.

ვნება აქ თანდისთან იშლება და იმდენად ცოცხალი ხდება თვის ბუნებრიობით, რომ მისი საიდუმლო მშვენება გატყვევებთ; მისი სტიქიონი იმდენად ძლიერია, რომ უცნაურობა ხშირია ამ სფეროში:

„აქ ისე დავკბენ შენს დამზრალ ტუჩს, ტუჩს ბოროტს, ტუჩს თხელს,
რომ სუნთქვა შეკრულს უარისთვის აღარ გეცალოს.
აქ მსურს, ლეილავ, რომ ავაქნევ შენს ტანთან ჩემს ხელს—
სამოსი ხელად ჩამოგეცალოს“.

ვნების საიდუმლოების სახე გრძნობის უმწვერვალესობაშია. აქ არ არის საშუალო მასშტაბი. პიროვნება თვის არსებიდან თითქოს გამოდის და იქმნის მეორე, ახალი—გრძნობის პეპელი. მარტოოდენ მაქსიმუმში იცის ამ გრძნობამ და არა ზომიერი, თავდაჭერილი.. აქ ჟინი, შურისძიება, ტანჯვა, ტრფიალი და ალერსი უმწვერვალესობის მასშტაბით იშლება. ამიტომ ასეთ ჟინ-მორეულ ვნების ყვავილით თავდება უნაზესი და უსათუოესი ალერსი:

„და ჩემს მკლავებზე, ასე მორჩილს, წუნარს, გაუბედავს,—
ძილის პირს გეტყვის სიოს ენით ცის განთიადი;
მზე დარაბების არალეთით არც კი დაგვხედავს,
რომ არ გაგიკრთეს ცელქი ფშვიადი“. („უძილო ღამე“).

აკაკი პაპავა.

(შემდეგი იქნება)

იანებზე გული შესტკივა, დაეხმაროს ქონებრივად, დაეხმაროს, თუ ჰნებავს, სარწმუნოების სფეროში—აუგოს რიგიანი ჯამები, რათა ქარი თავისუფლად არ შემოიჭრებოდეს ყოველი კუთხიდან და სამლოცველო სამლოცველოსა ჰგავდეს...

ვიმეორებ ჩვენი პროგრამა ნათელია, ყველასათვის თვალსაჩინო; მივდივართ ძმებთან ძმური ნუგეშით, თბილი სიტყვით, იმიტომ არა, რომ შევეხოთ მათ სინიდისს, სარწმუნოებას, ადათ-ჩვეულებას, მივდივართ სწორედ იმიტომ რომ ღვიძლი ძმები გულს ჩავიკრათ და დავიცვათ სწორედ მათი სარწმუნოება, ენა, ადათი, თუ ვინმე ბოროტი განიზრახავს ამ სარწმუნოების, ადათ-ჩვეულების შელახვას. **სარწმუნოება-სარწმუნოებად. ერი-ერად!** ეს არის ჩვენი დევიზი და მას ყოველგან დავიცავთ, ყველასთან, ყოველ პირობებში. და თუ ვინმე განიზრახავს ქართველ მაჰმადიანების შეურაცხყოფით ისარგებლოს, თუ ვინმე დაიბლაუჯება იმას, რომ ქართველი მაჰმადიანი სარწმუნოებით მუსულმანები არიან და შთაგონებას დაუწყებს მათ, რომ **რაკი მაჰმადის სჯულს აღიარებენ, ამიტომ ისინი ქართველები არ არიან**, პირველ, შემდგომ მოწინააღმდეგეს ის ჩვენში ჰპოვებს...

ქართული ანდაზაა: „მკაში გარიგება ხვნაში გარიგება სჯობიაო". ეხლავე სჯობს ვიცოდეთ მუსულმ. საქვ. საზ—ბის გულის წადილი. ან ქიშპობა და სხვა და სხვა გზით სიარული, ან შეთანხმება და ერთად, ხელი-ხელ ჩაკიდული მუშაობა!..

ხანგანიძე.

ნიკოლოზ ბარათაშვილის საღამო

ხარკოვში. *)

ხარკოვის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს ახალმა გამგეობამ პირველი კულტურული ნაბიჯი უკვე გადადგა: 27 ნოემბერს გამართა ჩვენი გენიოსის, ნ. ბარათაშვილის უფასო, სალიტერატურო-სამუსიკო საღამო. ერთი თვით ადრე შეუდგა გამგეობა საღამოს და შრომამაც სასურველი ნაყოფი გამოიღო.

აღსანიშნავია სტუდ. ი. ბიწკინაშვილის დაუღალავი ენერგია, რომელმაც მშვენივრად გაწვრთნა მომღერალთა გუნდი, ქართველ და უცხოელთა მიერ შემდგარი.

ეგრეთ წოდებულ „მშრომელ ქალთა საზოგ—ების დარბაზი", რომელშიაც გაიმართა ბარათაშვილის საღამო, 500 კაცზე მეტს ვერ იტევს და ეს იყო მიზეზი იმისა, რომ სათვისტომომ აღნიშნულ რიცხვზე მეტი სტუმარი ვერ მოიწვია. მოწვეულნი იყვნენ რჩეული პროფესორები, წარმომადგენლები უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის სტუდენტებისა. ქალთა უმაღლეს კურსებისა, პროფესიონალურ კავშირებისა, უნივერსიტეტთან არსებულ კულტურულ წრეებისა, სათვისტომოებისა და ყველა ცნობილ დაწესებულებისა და ორგანიზაციებისა. იყვნენ აგრეთვე მოპატიჟებული ხარკოვში მცხოვრები ქართველები (რამდენიმე პირის გამოკლებით), ასე რომ ბარათაშვილის საღამოზე შემოკრბა აქაურ საზოგადოების საუკეთესო, მოაზროვნე ნაწილი.

მორთულ, მაგრამ კოხტა დარბაზს სილამაზეს ჰმატებდა მწვანე ფოთლებით და ცოცხალი ყვავილებით შემკული, სტუდ. ლ. კოტეტიშვილის მიერ ხელოვნურად დახატული, საუცხოო დიდი სურათი ბარათაშვილისა.

საღამო შესდგებოდა ორის განყოფილებისაგან.

პირველი განყოფილება დაიწყო საღამოს თავმჯდომარის, პროფესორ ი. გლიევენკოს სიტყვით. პროფესორმა მოკლედ, მაგრამ შინაარსიანად დაახასიათა ნ. ბარათაშვილის პოეზია და სხვათა შორის სთქვა: „ნ. ბარათაშვილი დიდი პოეტია, იგი ღირსია უცხოელთა ყურადღებისა და შესწავლისა; პირადად ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბარათაშვილის პოეზიის გაცნობამ; მე დარწმუნებული ვარ, რომ ბარათაშვილს ჰქონია მძლავრი ფრთები, მას სდომია ფრენა-ნავარდი ცაში, მაგრამ ამავე დროს ბედი არ ყოფნია საფრენად; უბედურ ხანაში დაბადებულ მგოსანს ვერ უწყობდა ცხოვრების პირობები ხელს, რათა მოხლევებული ენერგია დაეხარჯა... ამ გარემოებამ მიიყვანა ბარათაშვილი თავგანწირულებამდე, ამან გამოიწვია მისი სულის ტრაგედია, რომელმაც წარმოაშობინა უკვდავი ლექსებიო".

პროფესორის სიტყვამ, ლამაზად წარმოთქმულმა, საზოგადოებაში ღელვა გამოიწვია.

პროფ. გლიევენკომ დაასრულა თუ არა თავისი სიტყვა, ქართულმა მომღერალთა გუნდმა, სტუდ. ბიწკინაშვილის ლოტბარობით შეასრულა „მრავალ ჟამიერ", (ფალიაშვილის მუსიკა). მოსაშვილმა მიმართა მგოსნის სურათს საკუთარი ლექსით(ქართულად), ლექსი შინაარსითაც და გარეგანი ფორმითაც ლამაზი აღმოჩნდა, რისთვისაც ავტორი, როგორც ქართველებმა, ისე რუსებმაც ტაშისცემით დააჯილდოვეს. აგრეთვე მიმართა სურათს რუსულად (მ. ყაზბეგის ლექსი) აქაურ დრამატიულ თეატრის მსახიობმა—არენსმა.

ნაფიც ვექილის თანაშემწემ კ. ცაგარელმა წარმოსთქვა სიტყვა (რუსულად). განსაკუთრებით შეეხო ჩვენს ისტორიას. მოკლედ დაახასიათა ქართული ისტორია მე-XII საუკუნიდან უკანასკნელ დრომდე, განსაკუთრებით შეჩერდა ნ. ბარათაშვილის უბედურ დროზე. „ს ქართველის ყოფნა-არ-ყოფნის ბნელი საკითხი მუდამ თან სდევდა მგოსანს შავი ჩრდილივითო", სთქვა ლექტორმა, „მაგრამ თუ ბარათაშვილის დროს ეს საკითხი სევდას იწვევდა, სამაგიეროდ დღეს, თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, აღარავისთვის საეჭვო აღარ არის, რომ საქართველო ცოცხალია და კვლავაც იცოცხლებსო", დაასრულა კ. ცაგარელმა.

კ. ცაგარელის სიტყვის შემდეგ, სტუდენტმა გ. ჯაკობიამ წაიკითხა მოხდენილად ბარათაშვილის ბიოგრაფია. პირველი განყოფილება დასრულდა გუნდის ორი სიმღერით „კრულ იყოს მისი სახელი" (ფოცხვერაშვილის მუსიკა) და „ფაცხა": ორივე სიმღერა საზოგადოებას ძალიან მოეწონა და გუნდი ლოტბარითურთ ფაშის ძახილით და ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვეს.

მე-II განყოფილებაში სტუდ. ა. პირაქაძემ დაკვირვებული რეფერატი წაიკითხა ბარათაშვილის პოეზიაზე. დამსწრე საზოგადოებას გააცნო მგოსნის შემოქმედების უმთავრესი მოტივები.

მსახიობმა არენსმა წაიკითხა რუსულად ბარათაშვილის ლექსები (მერანი, სული ბოროტი, ჩემს ვარსკვლავს) გ. ახვლედიანმა (რომელიც დატოვებულია აქაურ უნივერსიტეტში სიტყვიერების კანდიდატად) წაიკითხა რუსულ ენაზე მოხსენება: „უმთავრესი მოტივები ბარათაშვილის პოეზიისა". პატივცემულმა მომხსენებელმა დასაწყისშივე აღნიშნა ის დაუმსახურებელი გულ-ცივობა, რომელსაც იჩენს რუსის ინტელიგენცია ქართული კულტურისადმი; „ქართველი ერი, რომელიც ჰგზავნის ამ უმაგალითო ომის დროს თავის საუკეთესო შვილებს ბრძოლის ველზე და მსხვერპლად სწირავს მათ, კი არის ღირსი მეტის ყურადღებისა და პატივისცემისაო; საქართველო, რომელსაც უცხოვრია მრავალი საუკუნის განმავლობაში დამოუკიდებლად და შეუქმნია საკუთარი კულტურა, არ არის ვისგანმე აბუჩად ასაგდებიო". დასძინა და შემდეგ გადავიდა თვით ბარათაშვილის პოეზიაზე; ახვლედიანმა მშვენიერის სხარტულის ენით გადაუშალა საზოგადოებას ბარათაშვილის სულის შემოქმედება.

ყველას ყურადღება მიიპყრო ამ საღამოს სტუდ. ი. ბიწკინაშვილის შესანიშნავმა ხმამ (ტენორი). მან იმღერა როიალის აკომპანიმენტზე სოლო: ბარათაშვილის „სული ობოლი" (არ. ჯანდიერის მუსიკა), „მშვენიერთა ხელმწიფევ" და სხვა ქართული რომანსები. საზოგადოების აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. ბოლოს ამღერეს „ურმული".

სტუდ. მოსაშვილმა და კურსელმა ქალმა თამარ ხუციშვილმა წარმოსთქვეს ქართულად ბარათაშვილის ლექსები (სული ბოროტი, ჩემს ვარსკვლავს, მერანი), ხოლო პაველოვას ქალმა კი წაიკითხა რუსულად „შენი თვალები".

დასასრულ მომღერალთა გუნდმა შეასრულა „რერო" და „ნანა", რომლებიც რამდენჯერმე გაამეორებინეს.

საღამოს გათავებისას კვლავ ავიდა სცენაზე პროფ. გლიევენკო, გადაუხადა მადლობა საზოგადოებას დასწრებისათვის და თან წაიკითხა რამდენიმე ადგილი ბარათაშვილის წერილებიდან, შეჩერდა იმ ადგილზე, სადაც მგოსანი ამბობს, რომ „კარგია მოგონება, არ დაივიწყება სასაფლაოსი, საჭიროც არის უბრალო მომაკვდავთათვის ეძიონ იქ აზრი ცხოვრებისაო", ჩვენც მოვიგონოთ დიდებული საფლავი დიდებულ ადამიანისა, განაგრძო პროფესორმა, და ვესურვოთ ბარათაშვილის ძვლებს მუდმივი და მშვიდი განსვენება სამარადისოდო".

ხალხი უკვე იშლებოდა, რომ მიიღო პროფ. გლიევენკომ წერილი ცნობილ ლექტორ მაროზოვისაგან, რომელიც იმ ღამეს ლექციას კითხულობდა და საღამოს ვერ დაესწრო; იგი სთხოვდა გლიევენკოს, საზოგადოებას ცოტა შეეცადა, რათა თვით ლექტორიც მოსულიყო და შესაფერი სიტყვით მიემართნა ბარათაშვილის სურათისათვის; მაგრამ სამწუხაროდ უკვე გვიან იყო და საზოგადოებაც ძალზე ნასიამოვნები დაიშალა ღამის 1 საათზე.

დონ-იანი.

---

*) ეს წერილი გვიან მივიღეთ ფოსტის მიზეზით. რედ.

სტეფ. თევდ. ჭრელაშვილი

2 იანვარს გათენებისას გარდაიცვალა ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი და მოღვაწე სტეფანე თევდორის ძე ჭრელაშვილი.

ჯერ წინა დღით იგი სრულიად კარგად გრძნობდა თავს, საბჭოს სხდომაზე იგი ერთხმად აირჩიეს საკურორტო ყრილობაზე დასასწრებლად. სხდომის შემდეგ ჭრელაშვილს გაესეირნია და ღამის თორმეტ საათზე შინ დაბრუნებულა. გზაშივე, სახლთან, თავი ცუდად უგრძვნია და მეეზოვისათვის უთხოვნია—გამაცილეო. ღამის ორ საათზე ჭრელაშვილი გარდაიცვალა, როგორც ჰფიქრობენ წყვეთით.

განსვენებული სტეფ. ჭრელაშვილი დაიბადა სიღნაღის მაზრას, სოფ. მალაროში და მღვდლის შვილი იყო. სწავლობდა ტფილისის სემინარიაში, შემდეგ კი თავისუფალ მსმენელად იყო იურიდიულ ფაკულტეტზე.

განსვენებული ჩვენში ცნობილი იყო, როგორც „ტეტრათა მოტრფიალე" და ახალგაზრდობისას გაცემბირებული იყო სხვებთან ერთად. დაბრუნებისას მონაწილეობას იღებდა ქართულ ჟურნალ-გაზეთობაში „იმედის" და „ივერიაში". შემდეგ ქალაქის საქმეები შეისწავლა და დიდ მცოდნედაც ითვლებოდა ამ დარგში. დიდხანს იყო ქალაქის მდივანი და უკანასკნელ ხნებამდე ტფილისის საბჭოს ხმოსანი.

ტფილისის ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა დაესწროს განსვენებულის დაკრძალვას. ქალაქის გამგეობამ დაადგინა თავის იდვას მისი დაკრძალვის ხარჯები. გვირგვინი უძღვნას, დაარქვას მისი სახელობის სტიპენდია და დაესწროს დაკრძალვას.

ჩვენებური უცნაურობა

ერთი მეტად სამწუხარო და აღმაშფოთებელი ამბავი მოხდა ამ მოკლე ხანში ტფილისში. სამწუხაროდ, ჩვენ იმდენად შევეჩვიეთ ასეთ მოვლენებს, რომ ისინი თითქოს არც კი გვაკვირვებენ, თორემ აღშფოთებაზე ხომ ლაპარაკიც მეტია. დაიწყო ომი თუ არა და სხვა რუსეთის ერებთან ქართველი ჯარის-კაცებიც ჩაებნენ საშინელ ბრძოლაში, სხვა ქალებთან ერთად ქართველმა ქალებმაც მოინდომეს შემსუბუქება დაჭრილთა წყლულისა და მოწყალების დებად ჩაეწერნენ. ჩვენ ვიცით მათი თავგანწირული შრომა და ყველას თვალწინ გვიდგას ჯანღონით სავსე ახალგაზრდა მოწყალების დები ქართველი მსხვერპლები ავადმყოფობისა, ტყვიისა თუ წყალქვეშა ნავისა. ცხადია, ასეთი მოღვაწეობით მათ პატივისცემა და სიყვარული უნდა დაემსახურებინათ და დაიმსახურეს კიდეც ყველგან. მაგრამ აქ, ჩვენს დედა ქალაქში შესაძლებელი ხდება, რომ ვიღაც „დაგეგები" სდევნიან მათ და და სდევნიან მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქართველები არიან. პირველად ამ ორი თვის წინად გავიგონე, რომ მე-23 ლაზარეთში გახსნისთანავე დაბრუნებულა ექიმი ქალი დაგაევა. დაგაევა განაგებს მე-3 განყოფილებას და თავის ცდითა და უნარით იმ განყოფილებაში თავის გარშემო თავისი მოწყალების დები შეუკრებია. ამ მესამე განყოფილების ჯგუფს თავიდანვე მეტად საგულისხმიეროდ დაეწყო თავისი მოღვაწეობა და შრომა: როცა ავადმყოფები მოჰყავდათ, ისინი გარედ გამოცვლებოდნენ, აირჩევდნენ რუსებს და თავის განყოფილებაში მიაქანებდნენ, მაგრამ თუ ვინიცობაა მათ განყოფილებაში ვინმე ქართველს, სომეხს, თათარს ან სხვა „ინოროდეცს" დააწვენდნენ, ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ ასეთი „ველური" თავიდან მოეშორებინათ. მათი ასეთი ქცევა შენიშნეს ქართველმა მოწყალების დებმა და, რასაკვირველია, მათში ის სიამოვნებას ვერ გამოიწვევდა. ეს კარგად ესმოდა თვით დაგაევას და, რადგანაც თავს რაღაც მოსაზრებით უზრუნველყოფილად გრძნობდა, თავისი სიმპატია-ანტიპატიები ავადმყოფებიდან მოწყალების დებზე გადაიტანა. დაწვრილებითი ცნობა ამის შესახებ ჩვენ მერმე გვექნება, ეხლა კი გვინდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი არანორმალური მდგომარეობა დამთავრდა, როგორც მოსალოდნელი იყო. დაგაევამ ერთ მშვენიერ დღეს იქ მოსამსახურე ქართველებს უწოდა „ორგანიზოვანნაია შაიკა" (შეკავშირებული ხროვა). ეტყობა ქ. დაგაევა უკვე კარგად გამოცდილი ყოფილა და კარგად სცოდნია ანდაზა—„იქით ნაპირას გადავე, რომ აქეთ არ გამოგედავონო" და ქართველებსვე დააბრალა შოვინისტური პოლიტიკანობა. ამის დასამტკიცებლად ის, როგორც ამბობენ, არაფერს არ დაერიდა. ქართველი დები იძულებულნი იყვნენ პირდაპირ დაესვათ საკითხი და ექიმთა კომისიისაგან სამართალი მოეთხოვათ. რასაკვირველია, როგორც ჩვეულებრივ, აქაც სიმართლე არ გავიდა და მე-23 ლაზარეთის ქართველი დები და ერთი დიასახლისი იძულებულნი გახდნენ ლაზარეთი მიეტოვებინათ და მე-11 ლაზარეთს შეჰკედლებოდნენ. მათი ადგილი-კი, როგორც გავიგე, მე-23 ლაზარეთში რუს მოწყალების დებმა დაიკავეს. სამწუხაროდ, ასეთ მაგალითებს შეჩვეული ვართ. გვაშფოთებს, რომ დაჭრილ და ავადმყოფთა მოვლის წმინდა საქმე ვიღაც ლაგავების პოლიტიკანობით შინძურდება. ნუ თუ აქაც შური და უთანხმოება შეიძლება?!.

გვაკვირვებს აგრეთვე მოქმედება უფროსი ექიმის მახვილაძის და ქალაქთა კავშირის კომიტეტის. თუ მათ ეს ინციდენტი დაწვრილებით არ იციან, მაშინ ვერ ყოფილან კარგი მეთვალყურენი და თუ იციან და არაფერს იქმნენ, მაშინ—ეს ხომ ბოროტებაა!..

ყოველ შემთხვევაში საჭიროა ფართო საზოგადოება დააკვირდეს ასეთ მოვლენებს და შეეცადოს ასეთი მაგალითები დასაწყისშივე მოსპოს, რომ საშინელი ჩირქი შორს არ გავრცელდეს და ისედაც მძიმე დრო კიდევ უფრო არ დაამძიმოს.

იამე

რუსეთის ამბები

„რუსკ. ვედომოსტი" აღნიშნავს, რომ სახელმწიფო საბჭოს ახალ წევრების სიის შედგენაში დიდი მონაწილეობა მიუღია შჩეგლოვიტოვს. სიაში არ შეუტანიათ შტიურმერი, რადგან უხერხულად მიაჩნდათ—მისი და მილიუკოვის პროცესის გამო.

—

კრიგერ-ვოინოვსკის განცხადებაა— სრულიად მოულოდნელად დამინიშნეს გზათა მინისტრადაო. პოლიტიკოსობას ჩემს დღეში არ ვეწეოდი, არც ის ვიცი, თუ რა მიმართულებისაა თ-დი გოლიცინი, პირადად არ ვიცნობ და არც როდისმე მინახავსო.

—

სარატოვში სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების საოლქო ყრილობა აკრძალეს გუბერნატორის დადგენილებით. ბოქაული შენობაში იყო, ვიდრე ყველა მონაწილე არ წავიდა.

—

დეპუტატ მაკლაკოვს მოსკოვში წაუკითხავს კერძო წრეში მოხსენება არსებულ მდგომარეობაზე. მთავრობა ძალიან დაინტერესებულა მოხსენებით, დამსწრეთა პიროვნებით და იმ შთაბეჭდილებით, რომელიც მოხსენებას მოუხდენია.

—

ტამბოვს ჩასულა ყოფილი მინისტრი ნ. მაკლაკოვი, იგი გაჩერებულა სტახოვიჩ ნარიშკინისთან. ამბობენ, შეიძლება მაკლაკოვმა უმაღლესი თანამდებობა მიიღოსო.

—

შემარჯვენეებს პირველ იანვრიდან სახელმწიფო საბჭოში 102 ხმა ექნებათ. პროგრესიულ ბლოკს მხოლოდ 88 ხმა რჩება.

—

როგორც ამბობენ, განათლების ახალი მინისტრი კულჩიცკი არაფერს ახალის გაკეთებას არ აპირებს და არც სათათბიროში შეტანილ კანონპროექტებს წაიღებს უკანო.

—

მიტროპოლიტმა პიტირიმმა, მიუხედავად სინოდის განკარგულებისა, შობა დღეს წირვის შემდეგ პარაკლისი გადიხადა ისაკის სობოროში 1812 წელს რუსეთის გალლებისაგან გადარჩენის გამო. ამ ამბავმა სინოდის წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

2 იანვრის მოგებიან ბილეთების ტირაჟი

200.000 მან. სერია 17453, № 48, 75.000 მან. 12131/23, 40.000 მან., 10308/45, 25.000 მანეთი 7019/30; 10997/25, 10,000 მან. 7647/5. 8.000 მან. 8585/10, 8365/44; 12921/7; 1178/12; 18645/32; 5.000 მანეთი, 18941/29; 10077/46; 2586/48; 5345/18 9357/21; 11493/4; 1891/40; 8186/37; 1.000 მან. 10335/7; 6298/16; 5543/40; 8770/11; 4840/39; 17145/20; 4924/50; 18896/13; 13870/2; 17760/7; 13954/14 2252/46; 1885/42; 2566/35; 10206/41; 4168/2; 15786/12; 6202/43; 5643/31.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ჯორჯაძე.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

ტფილისიდან გადის:

			ს. წ.
ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03 დღ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33 სღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 19,	3.19 დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13 დღ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54 დღ.
„	საფ.	№ 4,	9,28 სღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-5.	11.13 სღ.
თელავისაკენ		№ 4,	9 . დღ.
გორისკენ	სამგზ.	№ 5,	9.10 დღ.

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10	9.52 დღ.
„	საფ.	№ 4,	8.38 სღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43 დღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08 დღ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12 სღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48 სღ.
გორიდან	სამგზ.	. . .	6.34 სღ.
თელავიდან	. .	№ 3,	6.24 .

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე
(გარდა კვირისა)
დილით:
„606" და „914"
11-12 შეშხაპუნება კონსულტაციურად
ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული. (სიფილ. ავადმყ.).
ბ. გ. აგახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ზენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ა. მ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
საღამოთი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალთა ავადმყ. და ქირურგიული.
მ. მ. ზენიამოვიჩი: 6—7 ს.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ი. ა. ნავასარდიანი.
1057

მიიღეთ ინგლისური სამეფო ლილა
და მატერიის სალებავი
(ჯერ-ჯერობით ორი ფერი: მწვანე და ბორდოს ფერი).
იყიდება ბითუმად: ფასი: 100 პაკეტი ლილა 15 მან., სალებავი 25 მან. ვინც ბევრს შემოგვიკვეთავს, ფას-დაკლებით დაეთმობა (5 პროც.). ქალაქ გარედან გამომწერთ შეკვეთილი საქონელი დაუყოვნებლივ გაეგზავნებათ თუ კი წარმოადგენენ 25 პროც. ბეს. გამოსაწერად გთხოვთ მიმართოთ კავკასიაში ერთად-ერთ წარმომადგენელს ინგლისის ფირმისას **რ. შმიდტს**, ტფილისი, ცხინვალის ქ. № 12, განყ. ს—ს დავითოვის ქუჩის ახლო, 2 უბანი. Р. ШМИДТЪ, Тифлисъ, Тхинвалская ул., № 12, Отд. С—С, близъ Давидовской ул., 2 уч.

მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.
სამეურნეო და საკოოპერაციო ჟურნალ
„მ ო ს ა ვ ა ლ"-ზე
დაიბეჭდება ორ კვირაში ერთხელ და ეღირება წელიწადში 4 მან., ცალკე ნომერი 20 კ.
ჟურნალში თანამშრომლობენ კოოპერატორები და აგრონომები.
რედაქციის ადრესი წერილებისათვის და ტელეგრამებისათვის: Тифлисъ, „Мосавали", Барятинская, 5.
1458 რედაქტორი ვ. ი. რცხილაძე.

თევზის მრეწველნი
ძმ. ქე[illegible]ველოვები
პუშკინის ქ., საკუთ. სახლი № 9, ტელეფ. № 712.
ყოველ დღე მოგვდის ახალი ქვირითის **ხიზილალა**, სრულებით ცოტა მარილიანი, შავი „მეშოჩნი" **ხიზილალა**. მიიღეთ საუკეთესო სალიანის **შამაიბი**. მუდმივ გვაქვს **ცოცხალი**. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის **ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო**. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. ხანგრძლივ ინახება.
1035

ძირს ტანჯვა ძირს, საერთო სისუსტე, ძირს უძლურება და უსისხლობა!

ვურჩევთ ყველას, ვინც საერთო სისუსტეს გრძნობს, სქესობრივად უძლურია—შეიძინოს ახლად გამოგონილი საშუალება პილულები **მოლეციტინ** (დასალევი) ნებადართულია მთავარ სამედიცინო საბჭოსაგან № 801.
— **მოლეციტინი** საშუალებაა სისხლ-ნაკლებობისათვის, უმადობისათვის, რახიტის, ნევრასტენიის, ცენტრალურ ნერვთა სისტემის ანთების წინაააღმდეგ.
— **მოლეციტინი** მოწონებულია ბევრ ექიმისაგან, როგორც აღმადგენელი ორგანიზმისა და ავადმყოფის გამომბრუნებელი.
— **მოლეციტინი** უვნებელი საშუალებაა და ჰრგებს არა მარტო ავადმყოფობის დასაწყისს, არამედ ავადმყოფობის გაარჯლების შემდეგაც.
— **მოლეციტინი** მშვენივრად მოქმედებს ვერცხლის წყალით და სხვა პრეპარატებით სიფილისის წამლობის დროს დაუძლურებულებზე. აღადგენს ძალას, მადას ჰმატებს, ნერვებს ამშვიდებს, ტეხას და წელის ტკივილს სპობს.
— **მოლეციტინი** სპობს უძილობას, ყრუობას, ყურებში წივილს, ნევრალგიურ ტკივილებს, სუნთქვის შეკვრას, აჩერებს თმის ცვენას.
— **მოლეციტინი** კარგად მოქმედებს ნერვების აშლილობაზე საზოგადოდ და უმთავრესად ქალების ავადმყოფობაზე.
— **მოლეციტინი** ჰრგებს აგრეთვე სპაზმოფილის ასტმატიურ მოვლენების დროს და საზოგადოდ ნერვიულ ავადმყოფობის დროსა.
— **მოლეციტინი** კარგად მოქმედებს აგრეთვე ქალების თვიურების მოსპობის დროს და ანელებს გულის ფრიალს, თავსხრუ ხვევას, ოფლიანობას, უძილობას.
— **მოლეციტინი** ჰშველის ორსულობის დროს, სპობს უგუნებობას (რაიც ძლიერ ხშირია) და გულის რევასა.
— **მოლეციტინი** კარგად მოქმედებს ონანისტებსა და სქესობრივად უძლურებზედ.
— **მოლეციტინი** მარგებელია როგორც დიდებისათვის, ისე ბავშვებისათვის.
— **მოლეციტინი** ჩქარა იკარგება ორგანიზმში და არ მოქმედებს კუჭზე.
— **მოლეციტინი** ძლიერ ადვილი სახმარი წამალია, ყველას შეუძლია დამოუკიდებლად იწამლოს ყველგან, სადაც უნდა იყოს.
თითო კოლოფის ფასი 3 მან. სრული კურსი წამლობისა საჭიროა 5 დან 10 კოლოფამდე. იგზავნება ფასდადებით 5 მან. ბეს მიღების შემდეგ.
შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **რ. ი. შმიდტთან** Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12, Р. И. ШМИДТЪ отд. 1—3. (ცხინვალის ქ. № 12), მე-2 საპოლ. უბანი გოლოვინის პროსპ. და მამადავითის ქუჩის ახლო.

Дозволено военной цензурою

სტამბა „ქართლი" მ. ი. ციციშვილისა. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. სემინარიის შენობაში.